საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 5 ნოემბერი. 2021 წ. №197 (9316) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

სალომე ზურაბიშვილი:

არა და არასოდეს!

...რადგანაც ეს საკითხი კიდევ მუსირებს, უნდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი პოზიცია ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებაზე მყარი და უცვლელია – არა და არასოდეს!

ყოფილი პრეზიდენტი არც პოლიტიკური პატიმრობის და არც უდანაშაულო მსხვერპლის არცერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. ის არის ნებაყოფლობით და არალეგალური გზით ქვეყანაში შემოღწეული მსჯავრდებული, რომლის შემოსვლა მიზნად ისახავდა დესტაბილიზაციას.

იხ. 3 გვ.

პრეზიდენტმა კახა კალაძეს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა!

საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** დედაქალაქის ახლად არჩეული მერი **კახა კალაძე** ორბელიანების სასახლეში მიიღო.

როგორც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, კახა კალაძის საარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა იმით, რომ არ იყო გამოყენებული სიძულვილის ენა და რიტორიკა, ორიენტირებული იყო საქმესა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე. შეხვედრისას აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია სწრაფად გაგრძელდეს ადგილობრივი მოსახლეობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრისთვის ეფექტიანი საქმიანობის განხორციელება...

ზაურ ნაჭყებია: ამომრჩევლის 52 პროცენტს გაჭირვებული ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია!

4

6 კახა გოგოლაშვილი: სადეპუტატო მანდატის დატოვება დიდი სისულელეა!

სურსათის გაძვირების ახალი ტალღა!

SIC! რა მოლოდინი აქვთ ქართველ იმპორტიორებს?!

11

პატრიარქის თხოვნაა, მიხეილ სააკაშვილმა შეწყვიტოს შიმშილობა!

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით კიდევ ერთხელ მოვედი მიხეილ სააკაშვილთან ისევ იმავე **დავალებით. მაქვს მისთვის გადასაცემი წერილი. წერილის შინაარსი შეეხება მის პრინციპულ პოზიციას შიმშილობასთან დაკავშირებით,** – ამის შესახებ დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან მიხეილ სააკაშვილის მონახულებამდე გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა.

„მინდა, ეს წერილი გადავცე და მოვიკითხო მისი უწმინდესობისგან. მისი უწმინდესობის თხოვნა და რჩევა არის, შეწყვიტოს შიმშილობა“, – განაცხადა მიქაელ ბოტკოველმა.

მან ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ ასევე აღნიშნა, რომ გუშინ სალომე ზურაბიშვილის და პატრიარქის შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილის შეწყალებაზე საუბარი არ ყოფილა.

„არ ყოფილა ამ საკითხზე საუბარი. ამაზე გააკეთა მამა გიორგი ზვიადაძემ განცხადება. საუბარი შეეხებოდა კოვიდპანდემიას, რომელიც აწუხებს ქვეყანას. აღმაშფოთებელია ბოლოდროინდელი სტატისტიკა“, – დასძინა მიქაელ ბოტკოველმა.

ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდება დანაშაულია!

ბოლო დროს ვრცელდება დანაშაულის ნიშნების შემცველი განცხადებები, განზრახ თუ გაუცნობიერებლად პირდაპირი მოწოდებები ხელისუფლების დამხობისკენ, ასეთი მოწოდება წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, – აცხადებენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

სუს-ის ცნობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა სამართლებრივ ღონისძიებას.

„საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ბოლო დროს სოციალურ ქსელებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სხვადასხვა პირის მიერ ვრცელდება დანაშაულის ნიშნების შემცველი შინაარსის

საჯარო განცხადებები და მოქალაქეები განზრახ თუ გაუცნობიერებლად პირდაპირ მოუწოდებენ თანამოაზრეებს რევოლუციისა და ხელისუფლების დამხობისკენ, მათ შორის ძალადობრივი გზებით.

მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისკენ, ან/და ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისკენ მოწოდება, წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 317-ე მუხლით და ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ყველა სამართლებრივ ღონისძიებას, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დასაცავად და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის თავიდან ასაცილებლად.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ დესტრუქციულ ძალებს თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისგან და დარჩნენ სამართლებრივ ჩარჩოებში“...

◎ ჩვენ მას ვენდობით!

რუსთაველები გილოცავთ!

ჯერ კიდევ რუსთავის აღმშენებლობის გარიჟრაჟზე, 1946 წელს,როდესაც ქალაქის პირველი ხელმძღვანელობა დაინიშნა, თავკაცად აირჩა შესანიშნავი მეტალურგი და ჩინებული ორგანიზატორი კაპიტონ ქირია.

მას შემდეგ რუსთავს ბევრზე ბევრი გამორჩეული წინამძღოლი ჰყავდა, ჩვენდა საამაყოდ ეროვნული გმირის ჟიული შარტავას დასახელებაც იკმარებდა, ამათგან — არასოდეს გვყოლია ხელმძღვანელი ქალბატონი, თუ არ ჩავთვლით აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს რუსუდან ჯაფარიძეს.

და აი ახლა, ქალაქის ისტორიაში პირველი პრეცედენტი მოხდა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ქალაქის მესვეურად ავირჩიეთ მრავალშვილიანი დედა, ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი, გამოცდილებამიღებული პოლიტიკოსი და რუსთავზე უზომოდ შეყვარებული, ქალბატონი ნინო ლაცაბიძე.

ჩვენ ღრმად გვჯერა რომ, იგი ღირსეული მერი იქნება ყველასთვის, პარტიულობის განურჩევლად, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს წინასწარი დაპირებების შესაბამისად, განსაკუთრებით იზრუნებს რუსთავის აღმასვლისთვის, ეკონომიკური სიძლიერისთვის, სოციალური ყოფის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისთვის, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის

ჩვენ მას ვენდობით და იმედს ვიტოვებთ, რომ ქალაქის გამოცდილ ადამიანებთან ერთად შეძლებს რუსთავის გონივრულ მართვას, მოსახლეობასთან დაახლოებას და საერთო მიზნების პოზიტიურად გადაწყვეტას.

წარმატებები დაგბედდებოდეთ, ქალბატონო ნინო!

რუსთაველთა სახელით რუსთავის საპატიო მოქალაქეები:

გივი ჯახუა, თინათინ სიყმაშვილი, მარინე ცხვედიაშვილი, ნათელა მუხულიშვილი, ვალერიან გრძელიშვილი, ლია მარტაშვილი, ლია ბეჟანიშვილი, კარლო ლეკვეიშვილი, იუზა ჩუბინიძე, გოგი ბეგაძე.

3.11. 2021

წილკნური სათბური ისრაელის დაფინანსებით

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ერთწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე, ისრაელის საელჩოს დაფინანსებით, MASHAV-ის პროგრამის ფარგლებში აშენებული თანამედროვე ტექნოლოგიის სათბური გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, ისრაელის ელჩმა საქართველოში რან გიდორმა და საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრმა, ხატია წილოსანმა გახსნეს.**

თანამედროვე სათბურის ბაზაზე ახალგაზრდა ფერმერების გადამზადება და მათთვის სემინარ-ტრენინგების ორგანიზება მოხდება. სხვადასხვა ქვეყნის აგრონომებსა და ექსპერტებს საშუალება ექნებათ, ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ. სათბური აღჭურვილია ვენტილაციის, ფერტიგაციის და წვეთოვანი მორწყვის სისტემებით, შემდეგი ეტაპი კი, ცენტრის ნაკვეთზე ჰიდროფონიკის (მცენარის უნიადაგოდ მოყვანის ინოვაციური მეთოდი) ტექნოლოგიის დანერგვას ითვალისწინებს.

„ისრაელის სახელმწიფო სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველია. მნიშვნელოვანია, რომ სასათბურე მეურნეობის განვითარების მიმართულებით მაშავის ცენტრი (MASHAV) აქტიურად თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან. ისრაელის მთავრობის მხარდაჭერით, აშენდა სადემონსტრაციო სათბური, რომელიც დაეხმარება ახალგაზრდა ფერმერებს ცოდნის გაღრმავებაში“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა.

MASHAV-ი ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოა. დღეისათვის, MASHAV-ის პროფესიული სასწავლო კურსები საქართველოდან 1600-ზე მეტმა სპეციალისტმა გაიარა. **სტუმრებმა წილკნის ბაზაზე პროფესორ ივანე სარიშვილის სახელობის ნიადაგის კვლევის ლაბორატორიაც დაათვალიერეს. ლაბორატორიაში, 2017 წლიდან, ნიადაგის სრულყოფილი კვლევა მიმდინარეობს, რომლის საფუძველზეც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ნიადაგის შეფასება და მისი ნაყოფიერების დონის განსაზღვრა ხდება.**

გადამუშავებულია 3 ათასი ტონა ყურძენი

მევენახეობის **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიმართულებით გაცემული თანადაფინანსება 12,4 მლნ ლარს აჭარბებს,** — განაცხადა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ილია თამარაშვილმა, რომელიც, კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილესთან, ლევან ლილუაშვილთან ერთად, „მეღვინეობა ბახტრიონის“ კოოპერაციულ საწარმოში იმყოფებოდა.

მისი თქმით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა სახელმწიფომ 2013 წლიდან დაიწყო; პროგრამები მოიცავს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის მხარდაჭერას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „მეღვინეობა ბახტრიონი“ ყურძნის გადამმუშავებელი საწარმო ახმეტის მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით ამოქმედდა. „მეღვინეობა ბახტრიონი“ 20 მეპაიეს აერთიანებს. კოოპერატივის წევრთა მფლობელობაში 21 ჰექტარი ვენახია. ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოს შესაქმნელად, ჯამში, 1 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 500 000 ლარი სოფლის განვითარების სააგენტოს გრანტია. კოოპერაციული საწარმოში, წელს პირველად, 100 ტონა ყურძენი გადამუშავდა.

როგორც ილია თამარაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო მხარდაჭერით შექმნილი 26 კოოპერაციული საწარმოს მიერ, მიმდინარე წელს, 3 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა.

◎ კოვიდგენოციდის პირისპირ

ჯანდაცვის სამინისტრო: კორონავირუსის სამკურნალოდ მონოკლონურ ანტისხეულებს გამოვიყენებთ

კორონავირუსით **ინფიცირებულ იმ პაციენტებს, ვისთანაც დაავადების გართულების მაღალი რისკია, მონოკლონური ანტისხეულებით უმკურნალებენ. ინფორმაციას ოკუპირებული ტერტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ავრცელებს.**

პრეპარატები ქვეყანას გერმანიისა და აშშ-ს მთავრობამ გადმოსცა. ორივე მედიკამენტი აღიარებულია აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების სააგენტოს (FDA) მიერ. კორონავირუსის საწინააღმდეგო მონოკლონური ანტისხეულები COVID-19-ის სამკურნალოდ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიდგომად ითვლება. მედიკამენტების გამოყენების ალგორითმი დღეს ჯანდაცვის სამინისტროში, კლინიკური საბჭოს შეხვედრაზე 3 ნოემბერს განიხილეს.

„ორი განსხვავებული პრეპარატია ხელმისაწვდომი, ერთი კასირივიმავი-იმდევიმაბი, რომელიც არის ჰოსპიტალიზებული პაციენტებისთვის. აღნიშნულ პრეპარატს მიიღებენ კლინიკები, რომლებიც ჩართულია კოვიდის მართვაში. გაწერილია დეტალური მოხმარების ინსტრუქცია, ძირითადად ეს არის პაციენტები, ვისაც პროგნოზულად აქვთ დამძიმების უფრო მაღალი რისკი სხვა პაციენტებთან შედარებით, მაგალითად 65 წლის მქონე პირები, ასევე პირები, რომელთაც აქვთ თანმხლები დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ჭარბი წონა, ჰიპერტენზია, ან რაიმე სხვა თანხმლები დაავადება და ამასთანავე, საყურადღებოა მათი მდგომარეობა ჰოსპიტალიზაციის მომენტში. ასევე მეორე ჯგუფი — ბამლანივიმაბი-ეტესევიმაბი, ნაჩვენებია შედარებით მსუბუქი პაციენტებისთვის, დაავადების განვითარების ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ეს იქნება პაციენტი, რომელსაც შესაძლოა სჭირდებოდეს მკურნალობა კოვიდ სასტუმროში, ან ბინაზე. ოჯახის ექიმები გააკეთებენ ამ პირების იდენტიფიცირებას, ვისაც ასაკის ან თანმხლები დაავადებების გამო მაღალი აქვს დამძიმების რისკი და შემდეგ მოხდება ამ პაციენტებისთვის, დაავადების ადრეულ ეტაპზე, ვიდრე იქნება მძიმე სურათი გამოხატული, მონოკლონების ადმინისტრირორება“, — აღნიშნავს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია.

კასივირიმაბი-იმდევიმაბი საქართველოს გერმანიის მთავრობამ გადმოსცა. თამარ გაბუნიას თქმით, სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ პრეპარატს საკმაოდ მაღალი ეფექტურობა აქვს მსუბუქი და საშუალო სიმძიმის პაციენტებში, როდესაც პროგნოზულად დამძიმების რისკია და სწორედ ამის თავიდან აცილებას უწყობს ხელს. ეს პრეპარატი მნიშვნელოვანია სიკვდილობის შემცირების და ჰოსპიტალიზაციის ვადის შემოკლების თვალსაზრისით.

აშშ-ის მიერ მოწოდებული **ბამლანივიმაბი-ეტესევიმაბის** დაავადების საწყის ეტაპზე, რისკჯგუფებში გამოყენება და ჰოსპიტალიზაციის, დაავადების მძიმე ფორმის ჩამოყალიბების თავიდან აცილების, ასევე სიკვდილობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

5469 გარდაცვლილიდან 98,95 პროცენტი არავაქცინირებული იყო

18-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში სრულად ვაქცინაციისგან განპირობებული სიკვდილიანობისგან დაცვა არის 99,37%, ხოლო 60 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი 97,8 პროცენტია. ეს არის საერთო ციფრები იმ ოთხივე ვაქცინაზე, რომელიც ქვეყანაში კეთდებოდა, — ამის შესახებ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

„15 მარტის — 30 სექტემბრის პერიოდში სრულად ვაქცინირებულ პირებში ინფიცირებისგან ვაქცინით განპირობებული დაცვის ეფექტურობა იყო 90%. ამ პერიოდში სრულად ვაქცინირებული პირების ინფიცირების შანსი იყო 9,87%-ით ნაკლები არავაქცინირებულ პირებთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში სრულად ვაქცინირებული იყო 814 851 პირი. აქედან იდენტიფიცირებული იყო 11 403 კოვიდინფიცირება. 15 მარტის — 30 სექტემბრის პერიოდში სულ ქვეყანაში ჰოსპიტალიზებული იყო 53 767 ადამიანი. ვაქცინაციის შემდეგ ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა 1 386 ადამიანს. ვაქცინაციის ეფექტურობამ ჰოსპიტალიზაციისგან დაცვის მხრივ შეადგინა 93,4%, მათ შორის 60 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში - 91,7%, ხოლო 18-59 წლის ასაკში - 95%. 60 წელს ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში სრულად ვაქცინირებულებში ინტენსიური მკურნალობის საჭიროება 97,5%-ით ნაკლებ შემთხვევაში დგება, არავაქცინირებულ პირებთან შედარებით. 18-59 წლის ასაკის სრულად ვაქცინირებულ მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი 99%-ს შეადგენდა. სულ ინტენსიური მკურნალობა დასჭირდა სრულად ვაქცინირებულ 62 ადამიანს.

ცხინვალში კორონავირუსი მძვინვარებს

ოკუპირებულ **ცხინვალის რეგიონში „კოვიდ-19“-ის შემთხვევების ზრდის გამო, 14 ნოემბრამდე ყველა საშუალო სკოლა და საგანმანათლებლო დაწესებულება დაიხურა.**

„კოვიდ-19“-ის შემთხვევების ზრდის გამო, ოკუპირებულ ცხინვალში შეზღუდვები შეეხება რესტორნებსა და კაფეებს, რომლებიც მხოლოდ გატანის სერვისით იმუშავებენ.

3 ნოემბერს ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში „კოვიდ-19“-ით ინფიცირების 79 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. საოკუპაციო რეჟიმის მონაცემებით, პანდემიის დაწყების შემდეგ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში „კოვიდ-19“-ით საერთო ჯამში 8 933 ადამიანი დაინფიცირდა, რომელთაგან 6 608 გამოჯანმრთელდა, 150 ადამიანი კი გარდაიცვალა.

პრეზიდენტის ხმა ერისა და ბერის გასაგონად!

როგორ დავასრულოთ არა ერთმანეთი, არამედ პოლარიზაცია?!

არჩევნები დასრულდა და მინდა მივულოცო სრულიად საქართველოს მოსახლეობას მშვიდად ჩატარებული არჩევნები, მიუხედავად არნახული პოლარიზაციისა და სიძულვილის ენის გამოყენებისა.

მინდა, მივულოცო გამარჯვება ახლადარჩეული ადგილობრივი საკრებულოს წევრებს, მერებს და ვუსურვო წარმატებული საქმიანობა ქვეყნის სამსახურში. არჩევნებმა ჩაიარა მშვიდად. უპრეცედენტოდ დაბალი იყო ინციდენტების რაოდენობა.

არჩევნები ჩატარდა თავისუფლად, ოპოზიციის საგრძნობლად გაუმჯობესებული შედეგები პირდაპირ კავშირშია ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოხატვასთან. ასევე, კანდიდატების შედეგებს შორის განსხვავების შემცირება დამახასიათებელია დემოკრატიული არჩევნებისთვის.

ნიშანდობლივია, რომ ცესკოს მიერ საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება შეფასდა, როგორც პროფესიონალიზმის მაღალი დონე.

არჩევნები დასრულდა, თუმცა რეალურად გამარჯვებულად თავი არავინ უნდა ჩათვალოს, რამეთუ გამარჯვებული არც ქვეყანაა და არც საზოგადოება.

ქვეყანას სჭირდება დაწყნარება და სტაბილურობა, რათა დაუბრუნდეს განვითარების გზას. საზოგადოებას კი მშვიდობა, პოლიტიკური დაპირისპირებიდან საძმეზე გადასვლა. ერთი მხრივ, კონცენტრირება იმ მთავარ საკითხებზე, რომლის დაძლევაც მარტო არცერთ ძალას შეუძლია და მეორე მხრივ, დესტაბილიზაციის მცდელობების დასრულება, რამეთუ დესტაბილიზაცია მხოლოდ გარე ძალებს თუ უწყობს ხელს.

დღეს ყველას აქვს ერთი კითხვა: რა იქნება ახლა? როგორ და რა ფორმით უნდა დასრულდეს პოლარიზაცია? რაც არ მიიღწევა არც ქუჩით, არც დესტაბილიზაციით, არც გაუთავებელი არჩევნების მოთხოვნით, არც ხელახლა მანდატების დატოვებით თუ ბოიკოტით, არც თვითდაჯერებით, არც სიძულვილით, არც მტრის და მოღალატის ხატის შექმნით, არც გამარჯვებულის არაღიარებით, არც დამარცხებულის დამცირებით...

რა უნდა გავაკეთოთ? როგორ მივიდეთ შედეგამდე, როგორ გამოვიდეთ ამ ჯადოსნური წრიდან?

რეალურად, ჩატარებული არჩევნები გვაძლევს ამის შესაძლებლობას, დავიწყოთ ქვედა საფეხურიდან, სადაც უფრო ადვილია ისეთ ყოფით საკითხებზე თანამშრომლობის დაწყება, რომელებიც მოქალაქეების ადგილობრივი პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. ეს არის და უნდა ყოფილიყო ადგილობრივი არჩევნების აზრი და მიზანი.

მნიშვნელოვანია მედია, რომელსაც აკისრია დიდი პასუხისმგებლობა, რადგან მას შეუძლია ითამაშოს უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოების დამშვიდებასა და პოლარიზაციის შემცირებაში. თქვენი იმედი მაძვს!

მაგრამ მთავარი, გაერთიანების თუ არა, დაწყნარების მაინც ფაქტორი, შეიძლება იყოს გარკვეული მიზნების განხორციელებაზე მუშაობა, რომელთა გარშემო საქმით თუ სიტყვით გაერთიანებულნი ვართ!

ასეთი მთავარი და პირველი საკითხია პანდემია: ჩვენ მომსწრენი ვართ უპრეცედენტო მასშტაბის ტრაგედიისა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ისედაც დემოგრაფიულ კრიზისს განიცდის. დღევანდელ კატასტროფულ მდგომარეობაზე ყველანი ვართ პასუხისმგებელნი: სახელმწიფოს პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირები, მეც მათ შორის, რომლებსაც უფრო აქტიური კამპანიის ჩატარება გვევალება ვაქცინაციის პოპულარიზაციისთვის და მეტი გამბედაობა. პასუხისმგებლობა ასევე ეკუთვნის პარტიებს, რომლებიც დემონსტრაციებს მართავენ რეგულაციებისა და სიფრთხილის მიუხედავად.

პასუხისმგებლობა დიდია საპატრიარქოსი, რომელიც დღემდე თავს იკავებს კურთხევის მიცემისგან, რაც საშუალებას უტოვებს ცალკეულ სასულიერო პირებს, რომ იძადაგონ ანტივაქცერული პროპაგანდა. პასუხისმგებლობა არის სამედიცინო სფეროს ზოგიერთი წარმომადგენლის, რომლის შეხედულებები საერთო საძმეს ავნებს. დაბოლოს, პასუხისმგებლობაა ჩვენი მოქალაქეების, ვინც პირადი შიშების და საკუთარი ჯანმრთელობის გამო, ქვეყანას დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე აყენებს! პანდემია ყველაზე ნათლად გვიჩვენებს, რომ არა ვართ ერთმანეთის მტრები, არამედ ერთად უნდა ვებრძოლოთ და დავძლიოთ პანდემია.

მივმართავ ხელისუფლებას, რათა სასწრაფო და მკაცრი ზომები იქნას მიღებული: სავალდებულო აცრა რისკჯგუფებისთვის, კოვიდ პასპორტის შემოტანა საჯარო სივრცეებში შესვლისთვის და თუნდაც ფასიანი მკურნალობა აუცრელი ადამიანებისთვის.

მედიას მივმართავ, რათა გადაცემები და პუბლიკაციები გახშირდეს ამ პრობლემის გასაშუქებლად.

სამოქალაქო სექტორს – გააქტიურებისკენ და პარტიებს – თავშეკავებისკენ. კიდევ ერთხელ მივმართავ საპატრიარქოს, როგორც დღეს მივმართე, რომ ეკლესიამ მისცეს მრევლს მკაფიო მითითება და მაგალითი!

სამაგიეროდ, ვეწინააღმდეგები და მიუღებლად მიმაჩნია, რომ დავუბრუნდეთ ეკონომიკური აქტივობების შეზღუდვას და ნებისმიერ ჩაკეტვას. მიუღებელია, ვინაიდან და რადგანაც, ეს დააზარალებს ქვეყნის ეკონომიკას და პირველ რიგში, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ისედაც უმძიმესი სოციალური გამოწვევების წინაშე იმყოფება! მართალია, საარჩევნო კამპანია ისე ჩატარდა, რომ ერთმანეთის სიძულვილმა და ლანძღვამ, ბევრად გადაჭარბა რეალური პრობლემების განხილვას, პრაქტიკულად უგულებელყოფლიძნა ქვეყნის რეალური საჭიროებები და მოქალაქეების უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

პოლარიზაციის დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა, პარტიები, ოპოზიცია თუ უმრავლესობა დაუბრუნდება რეალური პრობლემების და რეალური გამოწვევების გადაწყვეტას.

ერთი მხრივ, ხელისუფლება კმაყოფილებას გამოთქვამს ეკონომიკის ზრდის უპრეცედენტო მაჩვენებლებით, როცა პარალელურად, მოქალაქეები განიცდიან პირობების მკვეთრ გაუარესებას. ოპოზიცია კი, სულ სხვა, ვიწრო პოლიტიკური პრიორიტეტებით ხელმძღვანელობდა. ფაქტია, რომ არც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, არც ეკონომიკური კრიზისის დაძლევა არ გახდა პარტიების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხი.

პოლარიზაციის დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა, პარტიები, ოპოზიცია, თუ უმრავლესობა დაუბრუნდება რეალური პრობლემების და რეალური გამოწვევების გადაწყვეტას.

მიმაჩნია, რომ სწორედ ეს ორი მიმართულება: ჯანმთელობის კატასტროფის თავიდან აცილება, სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევა და მესამე, უმნიშვნელოვანესი, ევროპული ინტეგრაციის ქმედითი გზა, რომელიც ჩვენთვის უალტერნატივოა, იმდენად უალტერნატივო, რომ არ შეიძლება რომელიმე პარტიული ინტერესი წინ უსწრებდეს მას. ესაა ჩვენი ერთობლივი, ზეპარტიული გამოწვევა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი გაცხადებული ორიენტაცია, არა იმიტომ, რომ ქვეყნის მოსახლეობის 80 % ამ გზას მხარს უჭერს, არამედ იმიტომ რომ ეს არის ერთადერთი, ჩვენი სოციალური, ეკონომიკური, სახელმწიფო განვითარების გზა.

ამაზე შეთანხმება არის პასუხი იმ არსებით კითხვაზე, როგორ დავასრულოთ – არა ერთმანეთი, არამედ პოლარიზაცია!

დღეს ჩვენ, ჩვენი გაცხადებული მიზნებიდან გამომდინარე, გვევალება დროული და სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ევროპის გზაზე, რასაც ჩვენი პარტნიორებიც ელოდებიან ჩვენგან.

ამ კუთხით კი, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ორი ახალი წევრის არჩევა წარმოადგენს ამ ფორმით და ამ დროს გაუგებარ ნაბიჯს. როცა ვიცით, თუ რა სიმბოლური ადგილი უჭირავს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სამომავლო სასამართლო რეფორმის გაგრძელების თვალსაზრისით, რაოდენ ყურადღებას იქცევს მისი შემადგენლობა, თუ მისი მიუკერძოებლობა.

მე მზად ვარ, ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილი სამი პრიორიტეტის ირგვლივ შევხვდე ყველას, ვინც ამაზე თანხმდება და პრეზიდენტის პლატფორმა გამოვიყენოთ საჭიროებისამებრ.

ასევე, მზად ვარ ძალიან ბევრი რამისთვის, როცა ვიცი და სადაც ვიცი, რომ ქვეყნის ინტერესი დგას!

რადგანაც ეს საკითხი კიდევ მუსირებს, უნდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი პოზიცია ყოფილი პრეზიდენტის შეწყალებაზე მყარი და უცვლელია – არა და არასოდეს!

ყოფილი პრეზიდენტი, არც პოლიტიკური პატიმრობის და არც უდანაშაულო მსხვერპლის არც ერთ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. ის არის ნებაყოფლობით და არალეგალური გზით ქვეყანაში შემოღწეული მსჯავრდებული, რომლის შემოსვლა მიზნად ისახავდა დესტაბილიზაციას.

ამის მიუხედავად და გამომდინარე მაღალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინტერესისა, ის უნდა იყოს მიჩნეული განსაკუთრებულ პატიმრად. ეს მოითხოვს პენიტენციური ადმინისტრაციისგან და ხელისუფლებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას, ყველა ზომების მიღებას, რათა ჯანმრთელობის გაუარესება არ იქნას გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციის ან დესტაბილიზაციის მიზნით. ეს საჭიროებს მაქსიმალურ გამჭვირვალობას და დროულ რეაგირებას ნებისმიერი დამძიმების ნიშნებისთანავე.

ეს არის და ეს, ამ საკითხს მე არ დავუბრუნდები.

3 ოქტომბერი, 2021 წელი.

საქართველოს გადარჩენის და აღორძინების მომლოდინე მკითხველო!

დავეხმაროთ არჩევნებში თქვენი ხელდასხმით გამარჯვებულ ხელისუფლებას ქვეყნის მოღალატე ოპოზიციის გონზე მოყვანაში, მომაკვდინებელი პანდემიის ერთობლივად დამარცხებაში, მზაკვარი, დამნაშავე ნაცლიდერების კანონის მთელი სიმკაცრით დასჯაში!

ამომრჩევლის 52 პროცენტს გაჭირვებული ქვეყანა ფეხებზე ჰკიდია!

რევოლუცია არა, მაგრამ, ხელისუფლების გადაბარების პროცესი დაიწყო?!

„ნაციონალები“ კინაღამ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში — მართალია, მუნიციპალური არჩევნების შედეგებით, მაგრამ სხვაობა იმდენად მინიმალურია, ვადამდელ თუ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ძალიან დიდი შანსი აქვთ, ოცნება აისრულონ, ოღონდ ეს არ იქნება ქართველების ოცნებასთან თანხვედრილი! როგორც ჩანს, ამაოდ ვიოცნებეთ 9 წელიწადი, რომ „ნაციონალებს“ პოლიტიკურ მოუსავლეთში გავუშვებდით — გაშვება კი არა, ტრიუმფით ბრუნდებიან — ჩვენი დოყლაპიობით და „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით. თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ.

მრავალგზის ნათქვამს არ გავიმეორებ, მაგრამ მოკლედ ვიტყვი: **მუნიციპალური არჩევნების შედეგებში მოულოდნელი არაფერი ყოფილა — არც ის გამიკვირდებოდა, საქართველოს მსხვილ ქალაქებში უპირატესობა „ნაციონალებს“ მოეპოვებინათ...**

„ქართული ოცნების“ გასაგონად: ასე როგორ უნდა გააფუჭო საქმე, რომ ხალხს ფაშისტური რეჟიმის დაბრუნება მოანატრო?! ნუთუ საქართველოში არ მოიძებნა უფრო გამოცდილი და პოლიტიკაში გაუსვრელი ადამიანები, რომ ნაციონალების საპირწონედ დაგეყენებინათ? თქვენ ამით ხომ მიზეზი მიეცით ე.წ. „შუაშისტებს“, არჩევანი არ გაეკეთებინათ ცუდსა და უარესს შორის და სათოფეზე არ გაკარებოდნენ საარჩევნო ყუთებს?! ეს ხომ ფარული ავანტიურაა ნაციონალების გასაძლიერებლად და მათი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად?!

თვალს ნუ დავიბრმავებთ: სხვათა შორის, ისეთი ადამიანებიც უჭერდნენ მხარს „ნაციონალებს“ ბოლო მუნიციპალურ არჩევნებში, რომლებსაც არასდროს გამოუხატავთ ყოფილი რეჟიმისადმი მხარდაჭერა — პირიქით, 2012 წელს აშკარად „ქართულ ოცნებაში“ ხსნას, ხოლო, ბიძინა ივანიშვილში მესიას ხედავდნენ.

* * *

ბევრი ითქვა და დაიწერა, რომ 2 ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებზე არსებითი გავლენა მოახდინა **მიხეილ სააკაშვილის** ფაქტორმა — **ექსპრეზიდენტის მალულად შემოპარვამ და შემდგომ მისმა დატუსაღებამ, ორივე პოლიტიკურ მონსტრს „სატოპკე“ აუწია და ეს აისახა კიდეც არჩევნების შედეგებზე, თუმცა, მასობრივი მობილიზება ვერ შეძლო — ამომრჩეველთა 52-მა პროცენტმა საერთოდ უარი თქვა საარჩევნო ბატალიებზე, რითაც ორივე (თუმცა, ერთ მთლიან) ძალას აგრძნობინა, რომ არც ერთს არ უჭერდა მხარს!**

კარგია ეს თუ ცუდი?! გააჩნია, რა კუთხიდან შევხედავთ: თუ პოლიტიკური მეძავების შეფასების თვალსაზრისით — კარგია, ხოლო, თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ძალიან ცუდი — **შე მამაცხონებულო, რა თქმა უნდა, გაქვს უფლება, არც ერთი მოგწონდეს და არც მეორე, მაგრამ, შენი პროტესტით ვის ხელში ტოვებ ისედაც დაჯიჯგნილ და გაუბედურებულ ქვეყანას?! შენი პასიურობით ხომ აშკარად ხელს უწყობ მუდმივი ქაოსის დამკვიდრებას ქვეყანაში და საბოლოოდ, ისევ დანაშაულებრივი რეჟიმის დაბრუნებას ხელისუფლებაში?!**

ბევრისგან განსხვავებით, რომელიც ხშირად მსაყვედურობს: **„ხალხი რა შუაშია?!“, ვიტყვი: ხალხი შუაში კი არა, თავშია, რადგან, სწორედ ხალხის აღტყინებულ ლოზუნგებს: „ოღონდ, შევარდნაძე არა“-ს, „ოღონდ ,სააკაშვილი არა“-ს, მოგვიანებით, „წავიდეს ივანიშვილი პოლიტიკიდან“ დაემატა. ივანიშვილი კი გაეცალა პოლიტიკას მაგრამ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროება კიდევ უფრო გამძაფრდა — ეს რომ ასეა, ოქტომბრის მუნიციპალურმა არჩევნებმაც დაადასტურა — „ნაციონალები“ კინაღამ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში!**

ამას წინათ დავწერე სოციალურ ქსელში და კიდევ ვიმეორებ: რევანშისტული (დესტრუქციული) ძალების ხელისუფლებაში დაბრუნების დანაშაულის სიმძიმე არა იმდენად იმ ტვინგადაბრუნებული მასის კისერზეა, ვინც **„ქართულ ოცნებაზე“** გაბრაზებულმა მხარი **„ნაციონალებს“** დაუჭირა, არამედ იმ 51 პროცენტ **„შუაშისტებზე“**, რომელიც თავისი ინერტულობით დანაშაულობამდე დასულ შეცდომას უშვებს (სხვა საკითხია, რამდენად ლეგიტიმურია არჩევნების შედეგები, როცა მოსახლეობის მხოლოდ 49 პროცენტი მონაწილეობს, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები ამის უფლებას იძლევა და ვერც გააპროტესტებ). ერთი სიტყვით, სრული „დურდომია“ ქვეყანაში — ამომრჩეველთა 49 პროცენტის 55 პროცენტი, ანუ სრულუფლებიანი მოსახლეობის დაახლოებით — წყვეტს, ვინ უნდა მართოს ქვეყანა! ამაზე მეტი ცინიზმი რა გინდა?!

* * *

სამწუხაროდ, სააკაშვილის საქართველოში შემოსვლამ და ბოლო არჩევნებმა კიდევ უფრო გააფართოვა ფარისეველთა და ტვინნაღრძობთა კოჰორტა — ისეთმა ადამიანებმა შეირცხვინეს თავი, საზოგადოება მათი ნიჭისა და დამსახურების გამო პატივს რომ მიაგებდა, არაფერი ვთქვათ, შედარებით არაცნობად ადამიანებში მიჩუმათებული „ვნებების“ გაშიშვლებაზე.

ეს ძალიან ცუდია და ძალიან კარგიც. თუ რატომ არის ცუდი, ამას, მგონი, დაკონკრეტება არ სჭირდება. რაც შეეხება კარგს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების მიმართ ნდობის ვოტუმი ნელ-ნელა ქრება, უნდა ვიცოდეთ: ვინ ვინ არის!

* * *

ახლა ისევ პასიურ 51 პროცენტს დავუბრუნდები, რომელიც არჩევნებში არ მონაწილეობს. რაც არ უნდა მძიმედ ნათქვამი გამოვიდეს, ვიტყვი: ისინი გაცილებით დიდ ზიანს აყენებენ ქვეყანას, ვიდრე ადამიანთა ის კატეგორია, რომელიც ფანატიკურად თუ მოვალეობის მოხდის მიზნით მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“.

და აი, რატომ: **შე მამაცხონებულო, როცა არც ერთი და არც მეორე ძალა (ვგულისხმობ, ე.წ. პოზიცია-ოპოზიციას, თუმცა, ოპოზიციაში ძირითადად „ნაციონალური“ რეჟიმი, თავისი ანასხლეტებით მოიაზრება ძირითადად) არ მოგწონს და ცუდსა და უარესს შორის არჩევანს ვერ აკეთებ, შეუწყვე ხელი ახალი (კონსერვატული) პოლიტიკური ძალის აღმოცენებას (ნება იყოს და ლიდერიც გამოჩნდება!) და დაასრულე ეს გულისამრევი და საშიში პოლიტიკური თამაშები...**

ეს რომ საჩქაროდ გასაკეთებელია, მუნიციპალურმა არჩევნებმაც ხომ დაგვანახა?!

ისიც დაგვანახა, თუ ამ ორი პოლიტიკური მონსტრის საპირწონე ძალას არ შევქმნით, აიწონა-დაიწონას თამაში გაგრძელდება და ქვეყანას წელში ვერ გავმართავთ.

ისიც ხომ დაგვანახა, რომ „ნაციონალები არსად წასვლას არ აპირებენ. პირიქით — შურისძიების გრძნობით გაჟღენთილნი მალე თავზეც დაგვასხდებიან?!

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი

P.S. **ქვეყანაში რევოლუციური მუხტი რომ არ არის, ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც დაადასტურა — ხალხს რევოლუციით „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნების სურვილი არა აქვს, მაგრამ არც „ქართული ოცნების“ ნდობა შეიძლება, რადგან, შაქტია, რომ არჩევნების შედეგებით ხელისუფლების გადაბარების პროცესი დაწყებულია!**

ალეკო ელისაშვილი: ყველა სიტყვას მოვაწერდი ხელს, რაც სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ბრავო!

„მოძალაძეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას სოციალურ ქსელში ეხმიანება.

ელისაშვილის თქმით, ქართული პოლიტიკური ზიზღის პინგ-პონგის ფონზე ზურაბიშვილი ჯერჯერობით ერთადერთი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეა.

„ყველა სიტყვას მოვაწერდი ხელს, რაც სალომე ზურაბიშვილმა თქვა გუშინდელ ბრიფინგზე! ბრავო! ცოტაც და ყველა საძაგელ სიტყვას უკან წავიღებ და ყველა სიტყვაზე ბოდიშს მოვიხდი, რაც წლების მანძილზე მასზე მითქვამს. ქართული პოლიტიკური ზიზღის პინგ-პონგის ფონზე ერთადერთი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეა ჯერჯერობით!“, — წერს ელისაშვილი.

დავით მათიკაშვილი: ქვეყანა ბედნიერი იქნებოდა, რომ ჯანსაღი ოპოზიცია გვყავდეს!..

„რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“ – თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შემდეგ მმართველი გუნდი ამ ლოზუნგით აგრძელებს მუშაობას.

როგორც უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობის“ დაგეგმილი აქციები ქვეყნის წინსვლას ხელს ვერ შეუშლის, ამიტომ მმართველი გუნდი მათ არაფერს დაუპირისპირებს, გარდა საქმისა.

„აშშ-ს საელჩომ ძალიან სწორი მიმართულებით გააკეთა აქცენტი – ახლა არის გასაჩივრების პერიოდი და მიდით, ეს ბრალდებები ამტკიცეთო“

— „ნაციონალური მოძრაობა“ თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს არ ცნობს. მათ რამდენიმე საპროტესტო აქცია უკვე გამართეს და ასევე უახლოეს დღეებში კიდევ მორიგი მიტინგი დააანონსეს. მმართველი გუნდი აქციების საპირისპიროდ რას აპირებს?

— 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები შედგა. ერთი მუნიციპალიტეტის გარდა, „ქართული ოცნების“ მეროების კანდიდატებმა გამარჯვება მოიპოვეს. „ქართულმა ოცნებამ“ ე.წ. რეფერენდუმი მოიგო, რომელიც ოპოზიციამ გამოაცხადა. რაც მთავარია, საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, გარდა იმ მიმდინარე დარღვევებისა, რასაც საერთო შედეგებზე არ შეიძლება გავლენა მოეხდინა, სხვა მხრივ არჩევნები შეაფასეს კონკურენტუნარიანად და დემოკრატიულ გარემოში ჩატარებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნების მეორე ტური დასრულდა და გამარჯვება „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. ყველაფერი დანარჩენი, რომელიც ეხება კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტებისა და მრუდე დღის წესრიგს, მათ სურვილს, რომ პროტესტი გამოთქვან - ცხადია, ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული ქვეყანაა და კანონის ფარგლებში ადამიანის ჯგუფებს სრული უფლება აქვთ ესა თუ ის მოვლენა გააპროტესტონ. თუმცა, ის რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ — თითქოს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და მასთან აფილირებული პირების მხრიდან აქციების გამართვა პროტესტს არ ნიშნავს, ეს არის სუფთა წყლის დემაგოგია და მცდელობა, რომ ქვეყანა აჯანჯღარონ, შეუქმნან პრობლემები და შეიქმნას არასტაბილურობის განცდა...

— ელოდებით ოპოზიციისგან, რომ ისინი 2020 წლის ოქტომბრის მოვლენებს გაიმეორებენ, რადგან რამდენიმე პარლამენტარმა მამუკა ხაზარაძემ, ანა წითლიძემ, ნონა მამულაშვილმა საპარლამენტო მანდატების დატოვება გადაწყვიტეს და ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ამის ფონზე კვლავ დასავლელი პარტნიორების ჩართულობა გახდეს საჭირო?

— მთელი მსოფლიო ძალიან კარგად ხედავს ამ მოცემულობაში მხარეთა პოზიციებსა და სურვილებს. თუკი „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო ცხოვრების წარმართვა, ქვეყნის აღმშენებლობა და პროცესების დემოკრატიზაცია აქვს გადაწყვეტილი, „ნაციონალური მოძრაობა“ ამის აბსოლუტურად საპირისპიროს აკეთებს. მით უმეტეს იმ მოცემულობაში, რომ ისინი ყველა მიმართულებით დამარცხდნენ და უბრალოდ, ტყუიან ე.წ. დავაში. ისინი „ქართულ ოცნებასთან“ არ არიან დავაში, ისინი არიან საკუთარ სამშობლოსთან დავაში. თუკი მათ გადაწყვიტეს, რომ ისედაც არაფრის მაქნისი საპარლამენტო „კარიერა“, რაც ხაზარაძეს და მათ, ვისი გვარებიც თქვენ ჩამოთვალეთ, ჰქონდათ (თუმცა, რა კარიერაზეა საუბარი, როდესაც თითი თითზე არ აქვთ დადებული) შეწყვიტეს და პარლამენტიდან გამოვიდნენ, დამერწმუნეთ, ეს პარლამენტს არანაირად არ დააზარალებს.

რა თქმა უნდა, პარლამენტის მოქმედებისთვის ოპოზიციის ჩართულობა საჭიროა. ბედნიერები ვიქნებოდით, რომ ქვეყანას ჯანსაღი ოპოზიცია ჰყავდეს და ის ასრულებდეს საკუთარი ამომრჩევლის წინაშე მიცემულ ვალდებულებას, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი რეალობა არ გვაქვს. ქვეყანას ოპოზიციაში ჰყავს ძირითადი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“, ხაზარაძეებისა და მათი პოლიტიკური ბიძაშვილების სახით. თუმცა, საბედნიეროდ, არის ოპოზიციის ნაწილი, რომელიც პარლამენტში წარმოდგენილი არის. მე მაქვს „მოქალაქეებზე“, „ევროპატრიოტებზე“ საუბარი, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ ყველაფერში არ ეთანხმებიან, მაგრამ მათი პოლიტიკური დღის წესრიგი ქვეყნის ნგრევა არ არის. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია მუშაობა და საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელება პარლამენტში წარმოდგენილ ოპოზიციასთან. ასე რომ, ჩვენ ძალიან ბევრი წინ გადადგმული ნაბიჯი გველოდება.

— ასევე საინტერესოა თქვენი პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, სადაც ვკითხულობთ, რომ არჩევნები კარგად ორგანიზებული და მშვიდი იყო, თუმცა ამომრჩევლების მოსყიდვის ფაქტები კვლავ გრძელდება...

— უპირველეს ყოვლისა, ამერიკის საელჩოს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ძალიან დიდი დახმარებისთვის, რომელსაც საქართველოსთან მიმართებაში აკეთებს. ამერიკა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი მხრიდან გაკეთებული განცხადება. აშშ აღიარებს, რომ არჩევნები კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა და მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი პროფესიონალიზმისთვის. საელჩოს აზრით, ბრალდებები არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ იყო რაღაც გარკვეული ქმედებები და ფაქტები, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ იქვე აშშ-ს საელჩოს განცხადებაში საუბარია იმაზეც, რომ წინ არის საჩივართა გასაჩივრების განხილვის პერიოდი. ეს ბრალდებები, თუკი, ზოგადად, ბუნებაში არსებობს, უნდა იყოს მტკიცებულებით გამყარებული. მხოლოდ საუბარი არ კმარა. ის, რომ ბრალდებები არსებობს, სამწუხაროდ ამაში დიდი როლი ოპოზიციას უკავია. მათი სრულიად დაუსაბუთებელი, მტკიცებულებებისგან დაცლილი ბრალდებები არაერთხელ მოგვისმენია. თუმცა, შეერთებული შტატების საელჩომ ძალიან სწორი მიმართულებით გააკეთა აქცენტი, რომ ახლა არის გასაჩივრების პერიოდი და მიდით და ეს ბრალდებები ამტკიცეთო. ამისთვის არსებობს სასამართლო და საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია პასუხი გასცეს იმ საჩივრებს, რომელიც იქ არის შეტანილი.

ასევე, ერთი მინდა ვთქვა - თუკი 2020 წლის არჩევნების მაგალითს ვნახავთ, ხმამაღალი ბრალდებები, რომელიც ოპოზიციის მხრიდან ისმოდა, ვერც ერთი რეალური მტკიცებულებებით ვერ გამყარდა.

— „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოში უმრავლესობა არ ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი მმართველი გუნდის მერებს მუშაობაში რამდენად შეუშლის ხელს?

— „ქართულ ოცნებას“ უმეტეს მუნიციპალიტეტებში მყარი უმრავლესობა გააჩნია. ამ მხრივ უმეტესწილად პრობლემა მოგვარებულია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, სადაც მყარი უმრავლესობა არ არის, შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიღებაში, „ქართული ოცნება“ მზად არის კონკრეტულ პირებთან, კონკრეტულ ადამიანებთან წარმართოს მუშაობა, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მოახერხოს. ეს არის ძალიან ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი და ეს ნებისმიერ ქვეყანაში მიმდინარეობს.

— უმრავლესობის სხდომაც გაიმართა და თუ შეგიძლია გვითხრათ, რა გადაწყვეტილებები იქნა მიღებული მმართველი გუნდის სხდომაზე?

— უმრავლესობის სხდომაზე ძირითადად საკითხები ეხებოდა არჩევნების შეჯამებას, შედეგების გააზრებას და კონკრეტული პრობლემურ საკითხებზე მსჯელობას, ასევე, რაც მთავარია სამომავლო გეგმებს. შემიძლია ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, რომ მთელი უმრავლესობა არის მოწადინებული იმისთვის, რომ ქვეყანამ გააგრძელოს სწრაფი განვითარება — სწრაფი ეკონომიკური წინსვლა, რაც საბოლოო ჯამში, ჩვენი მკაფიო პროგრესით უნდა დასრულდეს. ასე რომ, ჩვენ გვაქვს ამბიციური გეგმები. კარგი იქნება, რომ ჩვენ არ გვყავდეს მტრები, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით. სამწუხაროდ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მტრები გვყავს. თუმცა, ქვეყნის შიგნით ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ყველამ ერთად შევძლოთ გამოვნახოთ საერთო ენა. მოგეხსენებათ, „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“. ამიტომ, დღეს არის შენების დრო.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

„განახლებული რეგიონების“ პროექტები მთელ იმერეთში

იმერეთის მუნიციპალიტეტებში პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე პროექტების შედეგები უკვე თვალსაჩინოა. მათ ნაწილზე დასრულებულია ან მიმდინარეობს ენერგოეფექტურობის კომპონენტის გაძლიერების, სხვა საინჟინრო გადაწყვეტების, რეკრეაციული სივრცეებისა და პარკების მოწყობის სამუშაოები, — ამის შესახებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ ქალაქ წყალტუბოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისას განაცხადა.

იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტში პროგრამით დაფინანსებულ პროექტებზე ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს. მათ შორის, აქტიურ ფაზაშია ქალაქ წყალტუბოში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის ურბანული განახლების სამუშაოები, რომელსაც ადგილზე გაეცნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე და სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძე.

ირაკლი ქარსელაძის თქმით, „განახლებული რეგიონების“ პროგრამა ოთხწლიანი, ამჟამად მიმდინარეობს მისი პირველი ეტაპით დაგეგმილი პროექტების შესრულება, რომლის საორიენტაციო ღირებულება არის 500 მილიონი ლარი. მისივე განმარტებით, პროგრამის შემდგომი ეტაპები კიდევ უფრო მეტ პროექტებს გაითვალისწინებს და შესაბამისად, ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში გვექნება მნიშვნელოვნად განახლებული, ახალი შესაძლებლობების მქონე სივრცეები.

რაცა ვართ, ესა ვართ!..

„ქართული ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით კმაყოფილია, თუმცა მიუხედავად თითქმის ყველა ქალაქში მოპოვებული გამარჯვებისა და 43%-იანი ბარიერის გადალახვისა, რაც აქტუალური ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ეგიდით შემუშავებულმა დოკუმენტმა გახადა, სახელისუფლებო გუნდს მოუწევს იმ ღრმა პოლარიზაციის შედეგებთან გამკლავება, რომელსაც განსაკუთრებით მეორე ტურში, თავადაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მით უფრო, რომ მსხვილ ქალაქებში ოპოზიციონერი და სახელისუფლებო კანდიდატების საარჩევნო შედეგებს შორის სხვაობა მინიმალურია, ოპოზიციურად განწყობილი აქტიური ამომრჩეველი კი არ თვლის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შედეგებში მისი პოლიტიკური ნება რეალურად აისახა. ამ ფონზე რამდენად აქვს ხელისუფლებას სიმშვიდის საფუძველი? ფუნქციონირებისთვის საჭირო ლეგიტიმაცია გაიმყარა? რონდელის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი კახა გოგოლაშვილი გვპასუხობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ მიზანს მიაღწია.

კახა გოგოლაშვილი: სადეპუტატო მანდატის დატოვება დიდი სისულელეა!

„მათთვის მთავარი გარეგნული მხარეა – აქვს თუ არა მანდატი და არა ლეგიტიმაცია. სრული ლეგიტიმაციაა, როდესაც ხალხი შენი პოლიტიკით კმაყოფილია, არჩევნებში თავდაჯერებულად იმარჯვებ და არა დაუშვებელი მეთოდებით. მიზანი იყო ნებისმიერი ხერხით გამარჯვება და ეს დიახ, მიღწეულია. მაგრამ ცხადია, სიმშვიდის საფუძველი არ აქვთ: როგორია, როდესაც მოსახლეობის ნახევარი უკიდურესად უარყოფითად, აგრესიულადაა ხელისუფლების მიმართ განწყობილი“, – ამბობს **„აქცენტთან“** გოგოლაშვილი.

მისი ხედვით, ვითარებას ამძიმებს ქვეყანაში არსებული ღრმა პოლარიზაცია, რომლის შემცირების აუცილებლობაზეც საერთაშორისო პარტნიორებიც ინტენსიურად ამახვილებენ ყურადღებას. მეტიც, გოგოლაშვილი შიშობს, რომ მომავალში ეს მდგომარეობა ჯამში ქვეყანას ბევრი მიმართულებით დააზიანებს და მოუხსნის პერსპექტივას, რადგან სტაბილურობის გარეშე წარმატებაზე საუბარი შეუძლებელია. უშუალოდ არჩევნების კონტექსტშიც, პოლარიზაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კანდიდატების შედეგებს შორის არსებული მცირე სხვაობა: **„მსგავსი შედეგები ბევრ ევროპულ ქვეყანაში, სადაც ღრმა პოლარიზაცია არაა, ნორმალურია, მაგრამ ჩვენთან არა განსხვავებულ ხედვებზე, არამედ მტრულ ბანაკებზეა საუბარი: ერთი ზის „ციხესიმაგრეში“, ხოლო მეორეს „ალყა“ აქვს შემორტყმული. ბევრი სოციალურ ქსელში წერს, რომ „ომი ჯერ კიდევ მოსაგები გვაქვს“. წარმოიდგინეთ, არჩევნებს „ომს“ უწოდებენ, ქვეყანაში არის განწყობა, რომ ეს ომია. ცხადია, ამ პირობებში ხელისუფლებას სიმშვიდის არანაირი საფუძველი არ აქვს“.**

მწვავე კრიტიკა და შესაძლო შედეგები

ბოლო ერთი წელია, სახელისუფლებო გუნდი ერთობ „უცნაურ“ და პარადოქსულ გზას ადგას: წინასაარჩევნო პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე „მიღწეული შედეგებით“ თავის მოწონებასა და წევრობის დაანონსებულ განაცხადზე აიგო, მეორე მხრივ, დატოვა რეფორმების საგზაო რუკად შეფასებული პოლიტიკური შეთანხმება; ევროკავშირს „დაასწრო“ და უარი თქვა 75-მილიონიან დახმარებაზე, რომლის წინაპირობაც სასამართლოს რეფორმა გახლდათ, შესაბამისად, უარი თქვა აღებული ვალდებულების შესრულებაზე. ამასთან, პარტნიორების კრიტიკის საპასუხოდ მმართველი გუნდის რიტორიკაში მკვეთრი სიხისტე გაჩნდა. ამ უკანასკნელის მოტივს გოგოლაშვილი მმართველი გუნდის განზრახვაში ხედავს, საარჩევნოდ დაედო „ფსონი“, ქვეყანაში არსებულ ანტიდასავლურ ძალებზე, მეორე მხრივ, საზოგადოების აღქმაში კრიტიკული გზავნილის სიმწვავე შეამციროს, ევროკავშირი „დააპატარაოს“. მაგრამ ხელისუფლების ქცევას აკვირდებიან პარტნიორებიც, სწორედ ამ პრობლემური საკითხების გამოძახილად აღიქვამს ეუთო/ოდირის, ევროკავშირისა და აშშ-ის ელჩების საკმაოდ მკაცრ შეფასებებს გოგოლაშვილი.

„ისინი ხელისუფლების ქცევას ბოლო ერთი წლის განმავლობაში აკვირდებიან, დაუგროვდათ ბევრი პრეტენზია, რაც უბრალოდ საარჩევნო პროცესის შეფასებაში აისახა, რადგან ეს არჩევნები არ იყო უარესი, ვიდრე თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური, ან საპარლამენტო არჩევნები. ვინაიდან ხელისუფლებამ კრიტიკულ, მაგრამ შედარებით პოზიტიურ შეფასებებზე რეაგირება არ მოახდინა, როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა, უფრო მკაფიონი და ხისტნი იყვნენ: არ სურთ, მთავრობამ რაიმე არგუმენტი გამოიყენოს თავისი პოლიტიკის გასამართლებლად“.

გოგოლაშვილი ელის, რომ მსგავს დამოკიდებულებას თავისი შედეგები ექნება:

- **პოლიტიკური თვალსაზრისით საძართველოს მთავრობისადმი ნაკლები მხარდაჭერა;**
- **ფინანსური დახმარების შემცირება.**

„აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტ დახმარებას ჩვენ ვიღებთ, რაც შემცირდება! მეტს ალბათ, მოლდოვა მიიღებს, შესაძლოა – სომხეთმაც: სომხეთში არჩევნების მიმართ პრეტენზია, მათ შორის ოპოზიციურ პარტიებსაც არ ჰქონიათ; სასამართლო სისტემის რეფორმაც უკეთ ჩატარდა, ვიდრე ჩვენთან. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი პოლიტიკური თვალსაზრისით რუსეთის არეალშია, ევროკავშირს გაღიზიანების საბაბს არ აძლევს, პირიქით, შედიან მის მდგომარეობაში“, – განმარტავს გოგოლაშვილი.

შესაძლო შედეგების მიუხედავად, ანალიტიკოსი სახელისუფლებო გუნდის ქცევაში ცვლილებებს არ ელის: **„ოცნებამ“ ამ 9 წლის განმავლობაში პრაქტიკულად ყველას ჩამოშორება შეძლო, ვისაც ფასეულობების თვალსაზრისით ზღვრის გავლება შეეძლო და ამ მიმართულებით გასწევდა წინააღმდეგობას. ბოლო მსგავსი ნაკადი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვიხილეთ. ამდენად, დარჩა შეკრული გუნდი და არა პარტია, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობს და მათთვის შენიშვნები არაა ყურადსაღები: არ მოგვცემენ პირობითად, 100-მილიონიან დახმარებას, სხვა გზას გამონახავენ – 75 მილიონზე უარი ვთქვით, შემდეგ კი განაცხადეს, რომ სოლიდური ვალის აღებას გეგმავენ“.**

რა გზა რჩება?!

თვითმმართველობის მეორე ტურის შემდეგ რიგი ოპოზიციონერი ლიდერების გზავნილს, „ქვეყანაში არჩევნები გაუქმებულია“, მრავლად ჰყავს კრიტიკოსები, მათ შორის – ოპოზიციურ ელიტაში. ამ ეტაპზე მკაფიო სამოქმედო გეგმა ცნობილი არაა, ვიცით რომ დაანონსდა აქციები, გაიჟღერა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობამაც და გაჩნდა საპარლამენტო მანდატების დატოვების ტენდენცია: ამ დროისთვის სადეპუტატო მანდატზე ხუთმა პარლამენტარმა თქვა უარი. მსგავს მიდგომას არ იზიარებს არც გოგოლაშვილი: **„სადეპუტატო მანდატის დატოვება დიდი სისულელეა: პარლამენტის ტრიბუნაცაა საჭირო, – ხალხი უსმენს, ვინ რა არგუმენტაციით წარდგება, ვინ რას ითხოვს. მრავლადაა საკითხები, რომელთა წამოწევაც შესაძლებელია. იგივე არჩევნებზე ელექტრონული წესის დანერგვა, რომ ყოველი არჩევნები დესტაბილიზაციის საფუძველი არ იყოს. სრული ნონსენსია საკრებულოს დატოვება. როგორც კი ასპარეზს დატოვებენ, ამ პარტიების დეგრადაცია დაიწყება: გამოდის, რომ ჩამოშორდებიან სახელმწიფოებრივ საკითხებს, არც ეცოდინებათ, რეალურად რა ხდება სახელმწიფოში, მოუწევთ ლოდინი, როდის მოხდება ქვეყანაში „აჯანყება“ იმის გამო, „ოცნებამ“ ვერ მართა პროცესი. საბოლო ჯამში, ამ პოლიტიკური პარტიებიდან ბევრი ემიგრაციაში აღმოჩნდება!“.**

გოგოლაშვილი გამოსავალს ოპოზიციის კონსოლიდაციაში ხედავს, უკვე მოპოვებული მანდატებით აქტიურად სარგებლობაში, შეცდომების გააზრებაში, მათ შორის, საარჩევნო პროცესში დაშვებულის:

„ჩრდილოვანი კაბინეტის“ გამოცხადება დააგვიანეს. ეს რომ ორი თვის წინ გაეკეთებინათ, სხვა შედეგი იქნებოდა. პროცესში სხვა მცირე პარტიებიც უნდა ჩართონ. დაუმორჩილებლობა აბსურდია, საჭიროა მეტი კონსოლიდაცია, მეტი დაფიქრება შეცდომებზე, მოსახლეობასთან კომუნიკაცია, მეტი მცდელობა საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების და მოპოვებული პოზიციების გამოყენება“.

გოგოლაშვილი დარწმუნებულია, რომ პარტნიორების მხარდაჭერა ყოველთვის ექნება პოზიტიურ და პერსპექტიულ წინადადებებს, მაგრამ არა – რევოლუციას: **„კონფრონტაციაში პარტნიორები მონაწილეობას არ მიიღებენ, ამას ნამდვილად არ შეუწყობენ ხელს. მათთვის მთავარი მშვიდობა და სტაბილურობაა“.**

მელიას სანამ ტყავს გააძრობენ, ხაზარაძის სოროში აპირებს შეძრომას!..

„ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი დაპირისპირება დაიწყო. უახლოეს დღეებში ნიკა მელია პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადებას ოფიციალურად გააკეთებს. მელია, სავარაუდოდ, „ლელოში“ გადადის და პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მამუკა ხაზარაძეს ჩაანაცვლებს. ხაზარაძე კი საერთოდ პოლიტიკიდან წასვლას გეგმავს.

მელიას თან ის გუნდიც გაჰყვება, რომლებიც მან პარტიაში მიიყვანა. მოვლენები დრამატულად მას შემდეგ განვითარდა, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდა. მისთვის ერთგულების დასამტკიცებლად პარტიაში ნამდვილი ომია გაჩაღებული. მელიას ერთ სიტყვასაც არავინ უსმენს და ის თავის მცირე გუნდთან ერთად ცალკე თამაშობს. ე.წ. „ლეგიონი“, რომლებიც საკაშვილის ძველ ფრთას წარმოადგენს, მელიას საყვედურობს, რომ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლებაზე არ აქტიურობს და ე.წ. კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ასეთ დროს სრულიად უადგილო და უსარგებლო იყო. სააკაშვილთან კი მელიას დამბეზღებელთა რიგი დგას. თავად ს

ფუტკრის, ამ მართლაც რომ ღვთაებრივი მწერის სიკეთესა და მნიშვნელობაზე არა მარტო სოფლის მეურნეობისთვის, არამედ, ზოგადად მთელი ბუნებისთვის და, შესაბამისად, ერთიანად კაცობრიობისთვის, აუარება რამ ითქვა, მათ შორის ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც. თუმცა ისიცაა, რომ თემა იმდენად მნიშვნელოვანია, საქართველოში მეფუტკრეობის დარგი კი ისეთი მრისხანე გამოწვევების წინაშეა, რომ შექმნილი ვითარების შესახებ თხრობას კვლავ ვუბრუნდებით.

მეტფუტკრეობის დარგში ამჟამად შექმნილ ვითარებაზე, მის გამოსასწორებლად გასატარებელ ღონისძიებასა და საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის ბოლოდროინდელ სიახლეებზე, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ რამაზ თავართქილაძეს ვესაუბრეთ.

ბზიკებისა და ფუტკრების ომი: წაგებული კაცობრიობა იქნება

— თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მეფუტკრეთა კავშირს დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა, — თქვა ბატონმა რამაზ თავართქილაძემ. — ეს თარიღი სათანადოდ აღინიშნა: მთავრობის სახელით ვიცე-პრემიერმა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, მეფუტკრეთა კავშირი საპატიო სიგელით დააჯილდოვა, თქვენს მონა-მორჩილს კი, გულწრფელი მადლობა გადამიხადა.

სხვა მხრივ, თქვენ გაზეთს ადრეც აღუნიშნავს, რომ საქართველო მეფუტკრეთა კავშირი მსოფლიო კავშირის — აპიმონდიის წევრი ქვეყანაა და აქტიურად ვართ ჩართული მის საქმიანობაში, მონაწილეობას ვიღებთ მის ყველა ღონისძიებაში, რომლებიც, ბოლო ხანებში კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, ყოველთვის ონლაინ-რეჟიმში ტარდება.

— უფრო კონკრეტულად რომ მოგვითხროთ თუნდაც ბოლოდროინდელ ღონისძიებებზე?

— ახლახან მონაწილეობა მივიღეთ აპიმონდიის მიერ გამართულ ორ სიმპოზიუმში: მათგან პირველი შედგა უდმურტეთის დედაქალაქ უფაში, რომელიც მიეძღვნა რუსეთში შემდგარ აპიმონდიის მე-20 მსოფლიო კონგრესის 50-ე წლისთავს და რომელზეც, სხავთა შორის, საქართველომ მეფუტკრეობის დარგში ოქროს მედალი მიიღო. ამის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ვაცნობეთ აპიმონდიის პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს, რითაც ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ სიმპოზიუმი ჩვენთვისაც საიუბილეო გახლდათ. სულ რამდენიმე დღის წინათ მეორე სიმპოზიუმი ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ქალაქებში გაიმართა, თუმცა წამყვან პოზიციაზე სერბეთი იყო. ჩვენ მის მიმდინარეობაში ბათუმიდან ვიყავით ჩართული, და აჭარელ მეფუტკრეთა გარდა მასში საქართველოს მეფუტკრეთა კავშირიც მონაწილეობდა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ აპიმონდიის მორიგი, მსოფლიო კონგრესი გაისად კვლავ ქალაქ უფაში ჩატარდება, რომლის მუშაობაში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას.

— რა საკითხები იყო აღნიშნული სიმპოზიუმის მონაწილეთა განხილვის საგანი, რაზე გამახვილდა ყურადღება?

— ორივე სიმპოზიუმზე, ბუნებრივია, მეფუტკრეობის დარგის მრავალი საჭირბოროტო საკითხი განვიხილეთ, მაგრამ მონაწილეთა ყურადღების ეპიცენტრში მაინც აპითერაპია გახლდათ, რაც მეფუტკრეობის პროდუქტებით ორგანიზმის იმუნიტეტის ამაღლებით სნეულებათა მკურნალობის ცალკეული ასპექტების განხილვას გულისხმობს. დამეთანხმებით, ეს ისედაც უმნიშვნელოვანესი საკითხებია, რომელთა, ასე ვთქვათ, „წონადობა“ განუზომლად მატულობს მძვინვარე პანდემიის პირობებში.

— სავსებით მართალი ბრძანდებით, ამიტომ, თუ შეიძლება, ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ.

— ტექნიკურ პროგრესს მოყოლილ ორ უდიდეს პრობლემას — ცხოვრების პასიურ წესსა და არასწორ კვებას — აუცილებლად სათანადოდ გამკლავება უნდა. ამჟამად ნაადრევი სიკვდილიანობის მიზეზთა შორის, ძირითად, გულსისხლძარღვთა პათოლოგიები, ავთვისებიანი სიმსივნპეები, შაქრიანი დიაბეტი და სხვა დაავადებებია, რომელთა მთავარი გამომწვევი ფაქტორები ორგანიზმის დასუსტებული იმუნიტეტი და არასწორი კვების შედეგად უჯრედების მუშაობის მექანიზმის მოშლაა.

არადა, ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრება არცთუ რთულია, თანაც გუნებაში ისიც უნდა გვქონდეს, რომ ჯანმრთელობის პრევენციისთვის გაღებული ერთი ლარი, გართულებული დაავადების მკურნალობაში დაზოგილ რვა ლარს უდრის!

აპითერაპია კი ფუტკრის პროდუქციის გამოყენებით სხვადასხვა დაავადებათა განკურნებაა, რომლის მეშვეობით ორგანიზმში აღდგენითი პროცესები ძალზე ეფექტიანად მიმდინარეობს. საწყენად ნამდვილად არ ვამბობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი მათგანის შესახებ ბევრმა არათუ არაფერი იცის, თავად სახელწოდებაც ნაკლებად სმენია. აბა, ნახეთ — აპითერაპიის პროდუქტებია: **თაფლი, ყვავილის მტვერი, ჭეო,** სადედე **ფუტკრის რძე, ცვილი, ფუტკრის შხამი, ცვილის ჩრჩილის ჭუპრის ექსტრატი, ქიტოზანი, მკვდარი ფუტკრის ნაყენი და მამალი ფუტკრის ჰომოგენატი.** განა ყველას არსებობა იცოდით?! არადა, სწორედ მათ საფუძველზე იქმნება სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატები — დრაჟეები, ბალზამები, მალამოები და სხვ.

აპითერაპია — ესაა მედიცინის მიმართულება, სადაც არ არსებობს დილემები, მისი მეშვეობით ეფექტიანად და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, თანამდევი გვერდითი მოქმედებების გარეშეა შესაძლებელი არაერთი სნეულების განკურნება. ამის თვალნათელი მაგალითია — **აპიტოქსიკოთერაპია,** რომელიც რეფლექსოთერაპიის ერთ-ერთი განხრაა, რაც კლასიკური ნემსების ნაცვლად, ფუტკრის მიერ გარკვეულ წერტილთა დანესტვრას გულისხმობს, რასაც ხშირ შემთხვევაში განსაცვიფრებელი შედეგი მოაქვს, ვინაიდან საგანგებო ზონებზე ფუტკრის შხამის მიკროდოზების ზემოქმედებას თვითრეგულაციის მექანიზმების აღძვრა შეუძლია.

მეფუტკრეობის პროდუქციის ცალკეულ სახეობაზე, რომელთაგან ყველაზე ცნობილი თავად თაფლია, ძალიან ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ამ ჯერზე მხოლოდ ერთ მათგანზე, კერძოდ სადედე ფუტკრის რძეზე შევჩერდები: ის ყველაზე საოცარი რამაა, რაც კი ფუტკარს შეუქმნია, ასეთი დაბალანსებული რთული ორგანული შენაერთი ბუნაბაში მეორე არ არსებობს. ის 22 ამინომჟავას შეიცავს და ადამიანის სისხლის პლაზმის ანალოგიურია, რაც მის 100-პროცენტიან შეთვისებას განაპირობებს. გარდა ამისა, ის, ფაქტობრივად, ყველა ვიტამინს შეიცავს, აქვს ანტიბაქტერიული, ანტივირუსული(!) და ანტირადიაციული მოქმედება. იგი საუკეთესო ბიოსტიმულატორია, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, აძლიერებს ფერმენტულ აქტივობას, აუმჯობესებს ქსოვილების კვებას, ხსნის ანგიოსპაზმებს, სისხლში ამცირებს მავნე ქოლესტერინის შემცველობას, ასტიმულირებს მთელ ენდოკრინულ სისტემას, აწესრიგებს თავის ტვინის ნივთიერებათა ცვლას, არეგულირებს ცენტრალური ნერვულ სისტემის მუშაობასა და ა. შ.

და კიდევ: **დედამიწაზე არ არსებობს მეორე ისეთი მაღალეფექტური, ორგანიზმის გასაახალგაზრდავებლად და გამრავლების მასტიმულირებელი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, როგორიცაა ფუტკრის რძე.**

ამ თემაზე ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია საიმისოდ, რომ მკითხველს გარკვეული შთამბეჭდილება შეექმნას აპითერაპიის შესაძლებლობათა მრავალმხრივობასა და ეფექტურობაზე.

— ჩვენში მეფუტკრეობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ რას იტყვით? რა პრობლემების წინაშე დგას დარგი?

— უნდა ითქვას, რომ საქართველოში მეფუტკრეობაში შექმნილია ძალიან მძიმე ვითარება: შარშანდელი მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 20 ათასი ოჯახი ფუტკარი დაიღუპა. ამის მიზეზი კი მავანთა სრულიად უპასუხისმგებლო, მავნებლური მოქმედებაა: გარკვეულმა პირებმა საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნუშის ნერგებით პლანტაციები გააშენეს, ხეების დასამტვერიანებლად კი მცენარეებს... ბზიკები მოაყოლეს, რომელთაც ბუდეები მოუწყვეს. ეს ბზიკები კი ფუტკრის პირველი მტრები არიან, ხოცავენ მათ, ჰოდა, ახლა ამ უბედურებამ აღმოსავლეთ საქართველოშიც დაიწყო გავრცელება!

აძვე მცირედი ჩანართის სახით ვიტყვით, რომ, ზოგადად, მსოფლიოს მაშსტაბით, ფუტკარი, როგორც მწერთა სახეობა, გადაშენების საფრთხის წინაშე დგას, რაც არათუ ფაუნის ამ უკეთილშობილეს არსებას სრული გაძრობით ემუქრება, არამედ, მცენარეს მთავარი დამმტვერიანებლის გადაშენების შედეგად, სრულიად კაცობრიობას საყოველთაო შიმშილით სიკვდილს უძადის.

ამ და მსგავს მოქმედებებს სოფლის მეურნეობაში აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო, რასაც სათანადო სამართლებრივი ბაზა სჭირდება.

— რა კეთდება არსებულ სირთულეთა დასაძლევად?

— პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობით, შევიმუშავეთ მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოს მეფუტკრეობის განვითარების ღონისძიებების შესახებ“. სამწუხაროდ, ამჟამად მეფუტკრეობის განვითარების შესახებ არ არსებობს არანაირი საკანონმდებლო აქტი ან სამთავრობო დადგენილება, რაც უკიდურესად აფერხებს ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას, თანაც დიდ ზარალსაც აყენებს მას.

აღნიშნული დადგენილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ, რომ ის მიზნად დაისახავს მსოფლიოში აღიარებული ბიოლოგიური და განსაკუთრებული სამეურნეო თვისებების მქონე ქართული ფუტკრის დაცვასა და სელექციურ განვითარებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენებური მწერი უნდა დარეგისტრირდეს როგორც „ქართული“ და არა „კავკასიური ფუტკარი“, რომლის ძირითადი ნაირსახეობებია გურული, მეგრული და აფხაზური პოპულაციები.

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეფუტკრეობის შესახებ მთავრობის დადგენილება, რომელზეც ახლა ვისაუბრეთ, უდავოდ იქნება ქმედითი, მაგრამ მაინც დროებითი აქტი, ქართველ მეფუტკრეებს კი აუცილებლად მიგვაჩნია მეფუტკრეობის შესახებ კანონის მიღება.

ესაუბრა
ოთარ ტურაგელიძე

უსაფრთხოების „ქოლგა“ საქართველოსა და უკრაინისთვის!

შავი ზღვის უსაფრთხოება კვლავ აშშ-ის ყურადღების ცენტრშია. ოქტომბრის ბოლოს სენატმა რეგიონში რუსეთის დესტრუქციული მოქმედების თემაზე სპეციალური მოსმენა მგამართა სახელწოდებით „შავი ზღვის უსაფრთხოება: რეგიონის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის აღორძინება“, რომელიც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიმართ აშშ-ის სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობას ეძღვნებოდა. ამერიკელი სენატორები, ნატოს რიგი ქვეყნების ლიდერების მსგავსად, თვლიან, რომ მოსკოვის შეკავება შესაძლებელია რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერით, ექსპერტებს კი ამ შესაძლებლობის ნაკლებად სჯერათ და რუსული ექსპანსიის შეკავების ერთადერთ ეფექტურ ნაბიჯად რეგიონის ქვეყნების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიიჩნევენ.

ატლანტიკური საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **იან ბუეზინსკი** თვლის, რომ აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები აშკარად ნაკლებ ყურადღებას უთმობენ შავი ზღვის რეგიონს, ვიდრე, მაგალითად, ბალტიისპირეთს, რასაც მოსკოვი „მწვანე შუქად“ აღიქვამს სამოქმედოდ:

> **„რუსეთის მიერ სამხედრო სიძლიერის ზრდამ, საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციამ, სხვა პროვოკაციულმა სამხედრო მოქმედებებმა და ჰიბრიდულმა ომმა შავი ზღვა რუსეთის სამხედრო ტბად აქცია, რომელსაც პრეზიდენტი პუტინი საკუთარი ძირგამომთხრელი და ექსპანსიური მიზნების გასატარებლად იყენებს. ეს აგრესია ხაზს უსვამს იმას, როგორ იქცა შავი ზღვის რეგიონი ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სუსტ რგოლად. და მიუხედავად ამისა, ევროპის ამ ნაწილმა ვერ დაიმსახურა იმგვარი პრიორიტეტულობა და ფოკუსი, როგორიც მისმა ჩრდილოელმა ანალოგმა — ბალტიის ზღვის რეგიონმა. აშშ-ისა და მისი ნატო-ელი პარტნიორების, ასევე ევროკავშირის მხრიდან ყოვლისმომცველი და უფრო აგრესიული სტრატეგიის არარსებობის პირობებში შავი ზღვის რეგიონი მომავალში, მაღალი ალბათობით, რუსული აგრესიის კიდევ უფრო გაძლიერების მსხვერპლად იქცევა, რაც არა მარტო საფრთხის წინაშე დააყენებს რეგიონის დემოკრატიების უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს, არამედ გაზრდის სამხედრო კონფლიქტის რისკსაც, მათ შორის — ესკალაციის საშიში დინამიკით“.**

ანალიტიკოსის შეფასებით, რეგიონში რუსეთის აგრესია მოიცავს აგრეთვე ძირგამომთხრელ პოლიტიკურ საქმიანობას, კიბერშეტევებს, საბოტაჟსა და მკვლელობებსაც კი და ყველა ამ ინსტრუმენტს კრემლი თითქმის მთელი ევროპის მასშტაბით იყენებს. კერძოდ, ბუეზინსკის თქმით, რუსულ სპეცსამსახურებს უკრაინაში არაერთხელ მოუკლავთ კრემლის პოლიტიკის კრიტიკოსები, ბულგარეთი კი 2011-2020 წლების პერიოდში მომხდარ ოთხ აფეთქებას იძიებს საბრძოლო მასალების საწყობებში, რომელშიც საქართველოსა და უკრაინაში გასაგზავნად გამიზნული შეიარაღება ინახებოდა.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ნატოს მართებს, დაუყოვლებლივ დაიწყოს მუშაობა მოკავშირეებისა და პარტნიორების სამხედრო პოტენციალის ასამაღლებლად, რადგან შავი ზღვის რეგიონში რუსეთის გაძლიერების ტემპი მოკავშირენბის სამხედრო შესაძლებლობებისთვის სულ უფრო დიდ პრობლემად იქცევა:

> **„პრიორიტეტად უნდა იქცეს ძალისხმევის გაფართოება საქართველოსა და უკრაინის შეიარაღებული ძალების გაძლიერებლად. აშშ-ის კონგრესი შექებას იმსახურებს მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად დამატებითი რესურსების მიმართვისთვის, თუმცა ორივე ქვეყანას კვლავინდებურად ესაჭიროება დაცვის დამატებითი ლეტალური სისტემები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთის სამომავლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად, მათ შორის — ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, გემსაწინააღმდეგო რაკეტები და მზვერავი უპილოტო საფრენი აპარატები. აუცილებელია, დავეხმაროთ მათ შეიარაღებულ ძალებს, ისევე, როგორც ბულგარეთისას და რუმინეთისას, რათა შავ ზღვაში რუსეთის საგრძნობი სამხედრო-საზღვაო უპირატესობის კომპენსირება მოახერხონ“.**

თუმცა მთავარი, ბუეზინსკის აზრით, საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხია.

„ნატოს გაფართოება ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპის ერთ-ერთი უდიდესი წარმატების ისტორია გახლდათ. ცენტრალური ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ალიანსში წევრობამ გააფართოვა და გააძლიერა ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების ზონა, ასევე თავად ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სამხედრო პოტენციალი. ამასთან, სწორედ ახალი წევრები იქცნენ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე ტრანსატლანტისტებად და დიდი წვლილი შეიტანეს ოპერაციებში აშშ-ის მეთაურობით, მათ შორის — ძველი კონტინენტის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ეს წარმატება აშკარა კონტრასტშია ჩრდილოატანტიკური კავშირის გაუბედავობასთან უკრაინისა და საქართველოს წევრობის განცხადების დაკმაყოფილების საქმეში, და ეს — მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ქვეყნებმა მედგრად და ვაჟკაცურად შეიტანეს საკუთარი წვლილი ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ გაუბედავობამ საქართველო და უკრაინა ევროპის სტრატეგიულ ლანდშაფტზე უსაფრთხოების არარსებობის მადესტაბილიზირებელ რუხ ზონაში მოაქცია“ — თვლის ბუეზინსკი.

აი, **ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი** კი იმაზე მიუთითებს, რომ მსგავს მდგომარეობაში, მათ შორის, თავად საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებებსაც მიუძღვით წვლილი.

საქართველოზე საუბრისას მან შიდა პოლიტიკურ პრობლემებს გაუსვა ხაზი, რომლებიც, რასმუსენის შეფასებით, ბოლო თვეებში კიდევ უფრო მეტად გამოაშკარავდა და ნატოს წევრი სკეპტიკოსებისთვის დამატებით საბაბს წარმოადგენს თბილისისთვის უარის სათქმელად:

„მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი შეიძლება, გამოყენებულ იქნას ნატოს იმ წევრების მიერ კიდევ ერთ არგუმენტად იმისა, თუ რატომ არ უნდა მიიწვიონ საქართველო ნატოში. ამდენად, ჩემი რჩევაა მთავრობის მიმართ, დროულად დაასტაბილუროს ვითარება ქვეყანაში“.

მიუხედავად ამისა, სიტყვით გამომსვლელმა ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნატოს უუნარობა, ალიანსში საქართველო და უკრაინა მიიწვიოს, პრეზიდენტ პუტინს უბიძგებს, აქტიურად იმოქმედოს საკუთარი წადილის აღსასრულებლად, ეს ქვეყნები მოსკოვის კონტროლქვეშ დააბრუნოს, ამავდროულად კი იწვევს იმას, რომ ალიანსის ღია კარის პოლიტიკამ იგი მადესტაბილიზირებელ ფაქტორად აქცია. ამდენად, დღეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ ბოძად საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრიანების მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი გზის მინიჭება უნდა იქცეს, — დარწმუნებულები არიან ექსპერტები.

ვიდრე ნატოს წევრები ახალ სტრატეგიაზე ყალიბდებიან, რომელშიც საქართველოს უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე შავი ზღვის კომპონენტი და ამ კონტექსტში საქართველოს ფუნქციური როლიც უნდა განისაზღვროს, თავად საქართველოში, მსუბუქად რომ ვთქვათ, სევდიანი სურათი ყალიბდება: პოლიტიკური კრიზისი, რომელიც უკვე ორი წელია, პერმანენტულად იქმნება, ახალ „ძალებს“ იკრებს, სასამართლოს გადაუჭრელი პრობლემის კონტექსტში კი ხელისუფლებამ მწვავე კრიტიკული შენიშვნების მორიგი კასკადი იწვნია, თუმცა მიმღებლობას არც ამ შემთხვევაში ამჟღავნებს.

> **„შავი ზღვა ნატოს ინტერესს რომ წარმოადგენს, ეს ცნობილია, მაგრამ კონკრეტულად რა სტრატეგია უნდა იყოს, რამდენად და როგორ გავრცელდება ის ალიანსის არაწევრ ქვეყნებზე — ეს არის მთავარი თემა და მიმდინარეობს განსხვავებული აზრების „მოთელვა“. არსებობს რამდენიმე მიმართულება: პოლიტიკური; სამხედრო-პოლიტიკური (რაც გულისხმობს სამხედრო მხარდაჭერას, რუსეთის პოლიტიკურ შეკავებას, თავსებადობის ამაღლებას, თავდაცვის სისტემის გაძლიერებას) და ის, რაც თავად ქვეყნებმა უნდა გააკეთონ საკუთარი პოლიტიკური განვითარებისთვის (ამ შემთხვევაში საქართველოსა და უკრაინაზე ვსაუბრობ). იმისთვის, რომ ჩვენი ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, ჩვენი აქტიურობაა საჭირო. ჩვენ კი დროს სხვა რამეში ვკარგავთ და მთელი კასკადი გვაქვს შეცდომების, რითაც საკუთარ თავს ვაზარალებთ“, — ამბობს „აძცენტთან“ საუბრისას საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი თენგიზ ფხალაძე.**

წვრთნები დამთავრდა... სამხედროები იქვე დარჩნენ

უკრაინაში აცხადებენ, რომ სამხედრო წვრთნების დასრულების შემდეგ რუსეთმა უკრაინის საზღვართან 90 ათასამდე სამხედრო დატოვა. უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციით, ნოემბრის დასაწყისიდან უკრაინის საზღვართან ახლოს და რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეინიშნება რუსული სამხედრო ქვედანაყოფების მობილიზება, რომელთა შემადგენლობა დაახლოებით 90 ათას ჯარისკაცს ითვლის.

ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიხედვით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარში ჩატარებული ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების შემდეგ, რუსეთმა 41-ე არმიის რამდენიმე ქვედანაყოფი რეგიონში დატოვა, რომლებიც უკრაინის საზღვრიდან დაახლოებით 260 კმ-ის მანძილზე განთავსდნენ. სამინისტროში აცხადებენ, რომ რუსეთის ფედერაცია პერიოდულად მიმართავს სამხედრო ნაწილების გადაადგილებისა და მობილიზაციის პრაქტიკას, რათა რეგიონში დაძაბულობა, მეზობელ ქვეყნებზე კი, პოლიტიკური ზეწოლა შეინარჩუნოს.

აღსანიშნავია, რომ „პოლიტიკომ“ პირველ ნოემბერს გამოაქვეყნა კომერციული სატელიტის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებშიც უკრაინის საზღვართან რუსეთის შეიარაღებული ძალების და სამხედრო ტექნიკის მობილიზებაა ასახული. კრემლში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას და აცხადებენ, რომ რუსეთს საკუთარი სამხედროები მის ტერიტორიაზე ჰყავს განთავსებული, იქ, სადაც მათი ყოფნა საჭიროდ მიაჩნია. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოსკოვმა უკრაინის საზღვრის გასწვრივ 100 ათასზე მეტი ჯარისკაცის მობილიზება მოახდინა, რამაც კიევისა და დასავლეთის ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია, თუმცა რუსეთმა სამხედროები მოგვიანებით ბაზაზე დააბრუნა.

ქართლის მეფე როსტომ ხანი

სამსჯავრო ღვთისა,

ანუ ჩვენებური დუელი

ვერა და ვერ ისვენებდა ქართლი. ხანდაზმულ როსტომ მეფეს (1632-1658) შვილი არა ჰყავდა და გიორგი სააკაძის ფენომენით გაკადნიერებული ქართველი ფეოდალები დროდადრო სამეფო გვირგვინს ეპოტინებოდნენ – ვინ იცის, ეგებ გედმა გაგვიღიმოსო. ყველას ეწადა გაგრატიონთა ტახტზე ასვლა: არაგვისა თუ ქსნის ერისთავებს, მუხრან-ბატონებს, ამილახვრებსა და ციციშვილებს... მეტი ვიღა ვთქვათ, განა საკმარისი არ არის? ერთი სიტყვით, საქმე საქმეზე თუ წავიდოდა, უძაღლო ქვეყანაში კატასაც დააყეფებდნენ.

ერთგულმა კარისკაცებმა მეფეს მოახსენეს: ქვეყანა იმიტომ არა წყნარდება, რომ შვილი, ძმა და ახლო ნათესავნი არა გვყვანანო, თქვენს მემკვიდრეს ვერა ხედავენო.

მაშინ როსტომმა ირანის შაჰს არზა მისწერა: **ქართველნი ჩემი უშვილობისათვის ურჩობენ და ავკაცობენო, ჩემს ბიძაშვილს თეიმურაზ – მირზას სამი შვილი დარჩა, პაპაჩემის, ლუარსაბის სეხნია რომ არის, ის გამომიგზავნე, ვიშვილებ და მემკვიდრე მეყოლებაო.**

სეფიანთა ხელმწიფემ, ცხადია, თხოვნა შეუსრულა. ლუარსაბ ბატონიშვილი საქართველოში გამოისტუმრა და თავის ვასალს აუწყა: **თქვენს უკან ქართლის გამგებლობა მაგისთვის მიგვიციაო.**

მოკლე ხანში ტახტის მემკვიდრე დააქორწინეს, მაგრამ ქართლის ფეოდალთა ვნებანი ერთი ბეწოზეც არ დამცხრალა. შეთქმულებმა პირი შეკრეს და ლუარსაბს გარდუვალი საფრთხე დაემუქრა.

როსტომ მეფემ განჯის გზაზე გუმბათიანი ხიდი და ქარვასლა რომ ააგო, მთელი თავისი ამალით იქაურობას ეწვია. ცოტა ხნით დაყოვნდნენ. შეთქმულებმა გაბედეს გაღმა ჭალაში გაიპატიჟეს ლუარსაბ ბატონიშვილი, ირემი და ტახი მოვინადირეთო. როსტომ მეფეს თითქოს გული უგრძნობდა ავს, დაუშალა შვილობილს სანადიროდ წასვლა, მაგრამ თხოვნა რომ გაუმეორეს, აღარ გააწბილა და ნება დართო.

ნადირობისას წარმოქმნილ არეულობაში ლუარსაბს ხელთოფიდან გავარდნილი ტყვია მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრა. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს. როსტომ მეფემ ცოცხალს მიუსწრო, შევიდა იმ კარავში, სადაც თოფნაკრავი იწვა, ქუდი მიწას დაახეთქა, თავში შემოიკრა ხელი და ატირდა. მერე გვერდით მიუჯდა მომაკვდავს, გამოჰკითხა: თოფი რომელი მხრიდან გეცა, ახლომახლო ვინ გედგა, ეგებ მიხვდი – ვისი თოფი იქნებოდაო.

ბატონიშვილმა ასე მოახსენა მამობილს: **თუ მოვრჩები, ჩემს მკვრელს მე თვითონ ვიპოვიო. და თუ მოვკვდები, თქვენ კარგად იყავით, რომელიც გიჯობდეს ისრე ჰქენითო.**

ირანში მოსვენებულ ცხოვრებას მოსწყვიტეს და სამშობლოში იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ თვისტომის ტყვიას იმქვეყნად გაესტუმრებინა?

როსტომ მეფე ქვეყანაში შფოთის ატეხას მორიდებია და მკვლელობის საქმეს აღარ ჩაეძიაო.

ფარსადან გორგიჯანიძე დაწვრილებით აგვიწერს სამგლოვიარო ცერემონიალს. გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი დაუკრძალავთ ქალაქ არდებილში, სადაც განისვენებდნენ სეფიანთა დინასტიის ფუძემდებელი შეიხ სეფი და მისი გვირგვინოსანი შთამომავალნი.

ამასობაში სიაოშ ბარათაშვილმა ლუარსაბის მკვლელობის ბრალდება წაუყენა გაინდურ თუმანიშვილს: შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცაო.

ალაჰმა უწყის, სამართლიანი იყო თუ არა ბრალდება, მაგრამ თუკი სამართლიანი არ იყო, რა უნდა ექნა ბრალდებულს, როგორ უნდა გაემართლებინა თავი?

არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ოცი წელიწადი გაატარა იმდროინდელ საქართველოში კათოლიკე მისიონერად, თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ თუკი ერთი და იგივე ბოროტმოქმედება ბრალდება ორ კაცს, ნამდვილი დამნაშავის გამოსარკვევად მეფე ბრძანებს, მათი საქმე ასპარეზზე ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოსო. დანიშნავენ ბრძოლის დროსა და ადგილს, ამოირჩევენ მოწმეებს, დანიშნულ დღეს გამოცხადდებიან ცხენზე შემჯდარი მებრძოლნი, აბჯარასხმულნი, ფარით, შუბითა და ხმლით შეიარაღებულნი. ისინი, მოწმეთა თანხლებით, წარდგებიან ასპარეზზე. როცა ნიშანს მისცემენ, შუბმომარჯვებულნი შეუტევენ ერთმანეთს. ვინც პირველი დაიჭრება, იმას აღიარებენ დამნაშავედ და მეორეს კი გაამართლებენო.

ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის ცოტა მოგვიანებით საქართველოში ნამყოფი ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან შარდენი. მისი სიტყვით, ამგვარ ორთაბრძოლას საქართველოში უწოდებენ **„ღვთის სამსჯავროზე გასვლას“**. შარდენი წერს: **„ქართველები ირწმუნებიან, რომ ეს გზა – დამნაშავის დასჯის ღვთისადმი მინდობა** – ძალზე კარგი და სამართლიანია, მაშინ როცა ადამიანურ **მართლმსაჯულებას არ ძალუძს გაარკვიოს დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ან ტყუილად დებს თუ არა მას ბრალმდებელი ბრალს“.**

ლამბერტისა და შარდენის მონათხრობს ერთგვარად ადასტურებს ვახტანგ VI-ის **„სამართლის წიგნი“**, სადაც ორთაბრძოლით სამართლის გარკვევას სახელმწიფო კანონის ძალა ეძლევა.

აი, ასე დგინდებოდა მართალ-მტყუანი XVII საუკუნის საქართველოში და გაინდურ თუმანიშვილმაც თავისი ბედი **„ღვთის სამსჯავროს“** მიანდო.

ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, მაჰმადიანმა როსტომ მეფემ **ბრძანა: მეტოქეებმა, რაც თავიანთ რჯულში მართებულია, ის გარდიხადონო** (სიაუშ ბარათაშვილი იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, გაინდურ თუმანიშვილი კი სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლს მიეკუთვნებოდა).

მათაც, მეფის ბრძანებისამებრ, აღსარება თქვეს, ცოდვები მოინანიეს, ეზიარნენ, ვალები გაისტუმრეს. მერე თავიანთი საყდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს. რაც შეეძლოთ, გლახათა და უღონოთა მისცესო.

მეფის სასახლის პირდაპირ, მტკვარს გაღმა, საომარი ადგილი მიუჩინეს, რომლის დანახვა ყოველი მხრიდან იყო შესაძლებელი.

ორივე შეიმოსა საბრძოლო აღჭურვილობით, შუბი და ფარი აიღეს, ცხენებს მოახტნენ და გაღმა გავიდნენ. მეფემ ექვსი იასაული მიამაგრა ორთაბრძოლას. ციხის კარები დაკეტეს, რომ ვერავინ ვერც შესულიყო და ვერც გამოსულიყო.

ამხედრებული დუელანტები ერთიმეორის მოშორებით იდგნენ და ორთაბრძოლის დაწყების ნიშანს ელოდნენ.

და აი, გამოღმიდან შესძახეს, ომისა და შეტევის დრო არისო. სიაუში ცხენჭენებით მიუხტა გაინდურს და შუბი შესცა, ზედ შეამტვრია, ჯაჭვის პერანგი გაუხია და გვერდში გასჩარა. შუბის პირი სხეულში დარჩა. მაგრამ გაინდური არ დამფრთხალა, მანაც აძგერა შუბი სიაუშს, ბარკალში შეამტვრია და გასცილდა. სიაუში დაედევნა, ლახტი სცა გაინდურს და გასცილდა. ახლა გაინდურმა მოიმარჯვა ლახტი, თავში დაჰკრა სიაუშს, მაგრამ ხელი დასვლებოდა თავისივე სისხლით და გაუსხლტა ლახტი ხელთაგან, თანაც ცხენმა გაიტაცა. სიაუში ლახტის ცემით მისდევდა. მაშინ გაინდურმა ხმალს ხელი წაიკრა, ხელუკუღმა მოუქნია მდევარს და მუზარადის საცხვირეში მოახვედრა. სიაუში იმწამსვე ჩამოვარდა ცხენიდან.

ეს უკვე ნიშნავდა გაინდურის გამარჯვებას და ამტკიცებდა მის უდანაშაულობას. მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლით აღგზნებულს ყველაფერი გადაავიწყდა და მოსაკლავად მიეტევა მიწაზე გაშხლართულ მეტოქეს. იასაულებმა, ღვთის წყალობით, არ დაანებეს დამარცხებული სიაუშის მკვლელობა. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, იგი ციხოვანთ ტყვედ მიაგზავნეს.

გამარჯვებული და გამართლებული გაინდური, როგორც იყო საომრად აღკაზმული, თავისივე ცხენ-იარაღით გამოღმა გამოვიდა, თაყვანი სცა როსტომ მეფეს და მოახსენა: **თქვენს მტერს უნდა შევბმოდით, ორნივ უბრალონი ტყუილად დავიხარჯენითო.** ესა თქვა და შინ გაეშურა. მკურნალი აახლეს, რის ვაივაგლახით ამოართვეს სხეულიდან სიაუშის შუბის პირი. ორი წელიწადი გავიდა, ვიდრე დაკოდილი გაუმთელდებოდა.

ამავე ორთაბრძოლის ამბავს მოგვითხრობს XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი, უფრო ცნობილი რომ არის ზაქარია სარკავაგის სახელით („სარკავაგი“ სომხურად დიაკვანს ნიშნავს). მის თხზულებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ცნობებს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების გამორჩეულ ეპიზოდებსა და პიროვნებებზე (სხვათა შორის, ზაქარიას შორეული - ოთხი საუკუნის წინანდელი - წინაპარი ქართველი ყოფილა, ბედის უკუღმართობით სომხეთში მოხვედრილა და გასომხებულა).

ზაქარია სარკავაგი ახალი დეტალებით ამდიდრებს ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობს.

სომეხი ისტორიკოსი გვამცნობს, **როსტომ მეფემ ბრძანა თავისი შვილობილის მკვლელთა მოძიება, მაგრამ ვერაფერი შეიტყვესო.** მაშინ სამართალში მიუციათ ორი კაცი; ერთი იყო სომეხი მამიკონიანთა გვარიდან, რომელთაც თუმანეცის (ე.ი. თუმანიშვილს) ეძახიანო, სახელად გაიანდური; მეორე კი – ქართველი ბარათეცის (ე.ი. ბარათაშვილის) გვარიდან, სახელად შიუში.

მათთვის განუცხადებიათ: **სწორედ თქვენ იდექით ბატონიშვილის გვერდით, როდესაც ტყვია მოხვდაო. მაშასადამე, ან იცით მკვლელის ვინაობა, ანდა თქვენი მოკლული არისო.**

ზაქარია სარკავაგის სიტყვით, სომხები ამბობდნენ, შიუშმა მოკლაო და ქართველები იძახდნენ - გაიანდურმაო.

გადაწყდა, რომ სიმართლე გაერკვია ორთაბრძოლას. ვინც დამარცხდებოდა, მკვლელადაც იმას შერაცხავდნენ.

ორთაბრძოლის აღწერილობა დაახლოებით იგივეა, მაგრამ თხრობის დასასრულს ზაქარია სარკავაგი აღნიშნავს შემდეგს: როსტომ მეფემ დაუყოვნებლივ უბრძანა ექიმებს, გაიანდური მოარჩინეთო და უზომოდ შეიყვარა ორთაბრძოლაში გამარჯვებული. მერე ბრძანება გასცა, შიუში აკუწეთ და ძაღლებს მიუგდეთო. შიუშს ძმა ჰყოლია – ქრისტეფორე ბერი, მოძღვარი მარიამ დედოფლისა, რომელიც შევედრებია დედოფალს, ძმას ნუ მომიკლავთო. დედოფალი, თავის მხრივ, როსტომ მეფეს შევედრებია, შიუშს სასიკვდილოდ ნუ გაიმეტებთო, დამარცხების სირცხვილი აკმარეთო.

როსტომ მეფემ მეუღლეს ხათრი არ გაუტეხა, ოღონდ შიუშის მთელი უძრავ-მოძრავი ქონების (მსახურნი, ყმა-გლეხნი, სოფლები, ვენახები, საქონელი) კონფისკაცია ბრძანა და სიგელით დაუმტკიცა გამარჯვებულ გაიანდურს.

ზაქარია სარკავაგის თანახმად, ამ ორთაბრძოლის შემდეგ ქართველებმა, ცოტა არ იყოს, დაიოკეს თავიანთი ამპარტავნობაო.

თბილისელ სომხებს ქართულ ენაზე შეუთხზავთ სიმღერა, რომლის ყოველი კუპლეტი თურმე მთავრდებოდა ამ სიტყვებით: **„შიუშ, წადი, წადი, გაიანდურ მოვიდა“.** როდესაც ამას მღეროდნენ თბილისის ქუჩებში, ქართველები სირცხვილით იწვოდნენო.

ორთაბრძოლის ამბავი გაუგია სეფიანთა ირანის ხელმწიფეს – შაჰ-აბას II -ს (1642-1666). გაიანდური იხმო და თბილისის მოურავობა უბოძაო. ეს მომხდარა 1650 წელს.

როგორც ირკვევა, ყიზილბაშთა მიერ ქართლის მშვიდობიანი ოკუპაციის ჟამს, ეთნიკური კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობაში (უფრო მეტად, ალბათ, თბილისში) იშვიათი ხილი როდი ყოფილა და ყიზილბაშები, რასაკვირველია, ხელსაც უწყობდნენ ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას ქალაქის დუქნებსა თუ მეფის სასახლეში.

საფიქრებელია, რომ მშვენივრად მოეხსენებოდათ რომაელთა შეგონება: **გათიშე და იბატონეო.**

არ ღალატობდნენ ძველისძველ სიბრძნეს.

მოამზადა

ლაშა გიორგაძემ

◎ დღესასწაული

ყოვლადწმინდა ღვთის-მშობლის ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“

6 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ხსენებას.

1888 წელს სანკტ-პეტერბურგში საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა. მინის ქარხნის სამლოცველოს მეხი დაეცა, შიდა კედლების უმეტესი ნაწილი და ფანჯრები დაიწვა... მაგრამ ცეცხლი ღვთისმშობლის ხატს არ შეხებია, ელვამ მხოლოდ გაანათა ის ჩაბნელებული კუთხე, სადაც ჟამთასვლისა და ჭვარტლისგან ჩამუქებული ხატი იდგა, და სრულიად განახლებული მიწაზე გადაეშვა. სამლოცველოს დარაჯმა დაინახა, რომ განახლებული ხატი იატაკზე იდგა, ხოლო თასმები, რითაც იგი კედელზე იყო მიმაგრებული, დამწვარიყო. იქვე ეყარა შესაწირი სკივრის ნამსხვრევები, ხოლო ფული – 12 მონეტა ხატის გარშემო მიმობნეულიყო...

აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი დაიკარგა.

ხალხმა ჩათვალა, ამ მოვლენით უფალმა მიანიშნა სამლოცველოს სიღატაკეზე... ამიტომ მის ადგილზე ტაძრის ასაშენებელად შესაწირი გაიღეს და ააშენეს ახალი სამლოცველო, ხატი, ყველა რწმენით მისულ ადამიანს კურნავს!

დიმიტრის შაბათი

6 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სარწმუნოებით და სასოებით მიცვალებულთა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, კოვიდით გარდაცვალებულ ქრისტიანებს.

გიული ლიპარტია

ჭიდაობა

„ოქროებიც“, „ბრინჯაოც“

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დამთავრდა 23-წლამდელ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით მონაწილეობდა: გიორგი თოხაძე (55 კგ), ფირუზ აბულაძე (60 კგ), ლერი



აბულაძე (63 კგ), ჯონი ხეცურიანი (67 კგ), ოთარ აბულაძე (72 კგ), ნიკოლოზ ჭიკაიძე (77 კგ), აივენგო რიკაძე (82 კგ), თემურ ჭკუასელიძე (87 კგ), გიორგი ქაცანაშვილი (97 კგ), გიორგი ცოფურაშვილი (130 კგ), მთავარი მწვრთნელი **სოსო ჯაბიძე** მწვრთნელები — **სერგო ნინუა** და **ზაზა ჯიბლაძე**.

ქართველ ფალავანთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლერი აბულაძე (63 კგ) და აივენგო რიკაძე (82 კგ), ხოლო ფრიდონ აბულაძე (60 კგ) ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ხულოელ **ლერი აბულაძეს** წლეულს უხვმოსავლიანი სეზონი აქვს: სამიოდე კვირის წინათ მან უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა, მანამდე ევროპის ჩემპიონატიდან ბრინჯაოს ჯილდოთი დაბრუნდა, ახლა კი თანატოლთა მსოფლიოზე 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაჯაბნა ყველა მეტოქე : ჯერ ყაზახ ასახაუტ მუხამადიევს მოუგო 5:1, მერე გიორგი თიბილოვი (რუსეთი, 7:3) და ალი რეზა ოლა ნეჯატი (ირანი, 7:3) გაუყენა მის გზას, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი თურქი აჰმეთ უიარი დაამარცხა 3:1 და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

თანაგუნდელს 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში კარგად აუბა მხარი გარდაბნელმა **აივენგო რიკაძემ,** რომელიც უფროსთა და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორია. 23-წლამდელთა მსოფლიოს პირველობის სტარტზე მან ესტონელ რანეტ ლაიოლას 3:0 მოუგო, შემდეგ ფინელი ოტო ეემელი კეტონენი (9:0), ამ ასაკში რუსი ევროპის ჩემპიონი შამილ ოზაევი (5:3) და ირანელი მოჰამად აზიზ ნაგუსი (5:3) დაამარცხა, ხოლო ფინალში შვეიცარიელ რამონ რაინერ ბეჩარტს აჯობა 5:1 და საქართველოს დელეგაციას მეორე ოქროს მედალი მოუტანა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი, როგორც ზემოთ ვთქვით, ხულოელ **ფრიდონ აბულაძეს** ერგო. საკვალიფაკაციო ეტაპზე ყირგიზი ნურმუხამეტ აბდულაევისა (3:2) და რუმინელი რაზვან არნოს (7:4) ძლევის შემდეგ იგი ნახევარფინალში თავად დამარცხდა ირანელ მეჰდი მოჰსენ ნეჰადთან 3:5. ქართველმა მოჭიდავემ მესამე ადგილისთვის პაექრობა უზბეკ მუხამადკოდირ იუსუპოვთან ფრედ — 3:3 დაამთავრა, მაგრამ ბოლო ქულის უპირატესობით კვარცხლბეკზე მაინც ავიდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს 23-წლამდელ „კლასიკოსთა“ ნაკრებმა 105 ქულით რუსეთისა (190) და ირანის (155) გუნდების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

დღეიდან ბელგრადის ხალიჩა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობა. 23-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ჭიღლაძე)** ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: რამაზ თურმანიძე (აჭარა, 57 კგ), თეიმურაზ ვანიშვილი (გორი, 61 კგ), ივერი ჯულაყიძე (სამტრედია, 65 კგ), გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური, 70 კგ), თემურ ბერუაშვილი (გორი, 74 კგ), გოგა მამიური (თბილისი, ორც, 79 კგ), დემურ მეგენეიშვილი (სამტრედია, 86 კგ), ლუკა ხუჭუა (სამტრედია, 92 კგ), ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა, 97 კგ)და სოლომონ მანაშვილი (თბილისი, 125 კგ).

ლექსო ციინცაძე

კრივი

არის მედლები!



105 ქვეყნის 650-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს ბელგრადში მიმდინარე მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომლის საპრიზო ფონდია 2.6 მილიონი დოლარი. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების (მწვრთნელები — თეიმურაზ ოჩიგავა და ბექა ლობჟანიძე) შვიდი წევრი ჩაება და მათგან ორმა „ბრინჯაო“ დაიბევა. საქმე ის არის, რომ 22 წლამდელებში ევროპის ჩემპიონმა და ვერცხლის პრიზიორმა ლაშა გურულმა 67 კილოში ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — ბაჰამელი რაშიდ უილიამსი (5:0), სლოვაკი მიხალ ტაკაში (5:0), ირანელი მოსლემ მაგშუდი მალ ამირი (5:0) და 27 წლის კუბელი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი კევინ ბრაუნ ბაზაინი (3:2). ნახევარფინალში გასვლით მან ბრინჯაოს მედალი გაინაღდა, მეტს კი ვერ შეძლებს, რადგან კუბელთან ორთაბრძოლისას შუბლის არეში ტრავმა მიიღო და თბილისში ნაადრევად დაბრუნება მოუწია ოპერაციის გასაკეთებლად.

48 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავი ისახელა ტოკიოს ოლიმპიადის მონაწილემ, ევროპის 22-წლამდელთა ჩემპიონატის, ევროკავშირის პირველობისა და მეორე ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორმა **სახილ ალახვერდოვმა**. თბილისელმა მოკრივემ დამაჯერებლად აჯობა გოვინდ შაჰანის (ინდოეთი, 4:0) და მირლან ტურკბაის (ყირგიზეთი). ნახევარფინალში მისი მეტოქეა ტაილანდელი იურაჩაი ვუტიჩაი. ამ უკანასკნელმა იაპონელ კაზუმა არატაკეს მე-2 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუგო.

გივი გაგუა

64

რჩეული ამოცანები და ეტიუდები

გენიალური ამერიკელი საჭადრაკო კომპოზიტორი სამუელ ლოიდი (1841-1911)ამტკიცებდა, რომ კარგი კომპოზიციის შემდგენელი ძლიერი მოჭადრაკე უნდა იყოსო.

ლოიდის თვითმყოფადი შემოქმედება არ მიეკუთვნება რომელიმე ერთი სკოლის მიმდინარეობას. მისი მრავალი ნაწარმოები შექმნილია მხატვრული ხერხების გამოყენებით.

იგი თავად სიამოვნებით ეპაექრებოდა ღირსეულ მეტოქეებს, რაც ხელს უწყობდა საკომპოზიციო მოღვაწეობაში. ამ შეხედულებას ქართველი კომპოზიტორებიც იზიარებენ თავიანთ შეფასებებში.

მოამზადა
თამაზ შენგელია



რევაზ დადუნაშვილი
(1925-1986)



სამუელ ლოიდი
(1841-1911)

№ 60. "შახმატი" (რიგა) 1979-1980
III პრიზი



№ 59. საჭადრ. ოლიმპიადა 1960
V საქ. შეფასება



1g f5 ♘g d4
2.♘g6 a13
3.♘f4 a2
4.♘e2 ♘g e5
5.f4 ♘g d6
6.♘c3 ♗a1
7.♘e4 x

№ 61. "შახმატი" (რიგა) 1983
II საპ. შეფასება



1.♗h3 ♘g f4
2.f3 ♘g5
3.♗h4 ♘g f5
4.f4 ♘g6
5.♗h5 ♘g f6
6.f5 ♘g7
7.♗h6 ♘g f7
8.♗e6 x

№60 1.b8♗ ♘g c6 2.♗e8 ♘d7 3.♘g b8 ♘a3 4.♗c8 ♘g d6
5.♗f8 ♘e7 6.♘g c8 ♘d4 7. d3! ♘a2 8.♗d8 ♘g e6
9.♗g8 ♘f7 10.♘g d8 ♘c2 11.♗g6 ♘f6 12.♗e4 ♘g f7
13.♗h7 ♘g e6 14.♗d7 ♘g e5 15 d4 + -

ჩემპიონთა ლიგა

მოწინავეთა კვარტეტი

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სტარტზევე გამოვლინდა ის ოთხეული, რომელმაც ვადამდე მოიპოვა მერვედფინალის საგზური: „ბაიერნი“, „ლივერპული“, „აიაქსი“ და „იუვენტუსი“.

ბუნებრივია, მეოთხე ტურს გმირებიც ჰყავდა — ლევანდოვსკიმ ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო რონალდუმ, დიბალამ, ვეინალდუმმა, გონსალვეშმა და ბენზემამ — დუბლები.

აღსანიშნავია, რომ მართალია, რეკორდმაისტერის სნაიპერმა პენალტი ვერ გამოიყენა, მაგრამ პირველი პოლონელი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში მეასე მატჩი ჩაატარა. არანაკლებ დასაფასებელია მადრიდის „რეალის“ მიღწევა — „სამეფო კლუბმა“ პირველმა გადალახა 1000-ბურთიანი ზღვარი.

„ა“ ჯგუფი. „სიტი“ — 9, „პსჟ“ — 8, „ბრიუგე“ — 4, „ლაიფციგი“ — 1 ქულა. **„ბ“ ჯგუფი.** „ლივერპული“ — 12, „პორტუ“ — 5, „ატლეტიკო“ — 4, „მილანი“ — 1 ქულა. **„გ“ ჯგუფი.** „აიაქსი“ — 12, „დორტმუნდი“, „სპორტინგი“ — 6-6, „ბეშიქთაში“ — 0 ქულა. **„დ“ ჯგუფი.** „რეალი“ — 9, „ინტერი“ — 7, „შერიფი“— 6, „შახტარი“ — 1 ქულა. **„ე“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ — 12, „ბარსელონა“ — 6, „ბენფიკა“ — 4, „დინამო“ (კიევი) — 1 ქულა. **„ვ“ ჯგუფი.** „მანჩესტერი“, „ვილიარეალი“ — 7-7, „ატალანტა“ — 5, „იანგ ბოიზი“ — 3 ქულა. **„ზ“ ჯგუფი..** „ზალცბურგი“ — 7, „ლილი“, „ვოლფსბურგი“ — 5-5, „სევილია“ — 3 ქულა. **„თ“ ჯგუფი.** „იუვენტუსი“ — 12, „ჩელსი“ — 9, „ზენიტი“ — 3, „მალმიო“ — 0 ქულა.

2022-ში საქართველო 1,5 მლრდ კუბურ მეტრ იაფ გაზს მიიღებს

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის პროგნოზით, 2022 წელს ქვეყანა აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ მნიშვნელოვნად მეტ იაფ „ცისფერ საწვავს“ მიიღებს.

საქართველო-აზერბაიჯანს შორის დღეს „შაჰ დენიზის“ ტრანზიტზე ორი ტიპის კონტრაქტი აქვთ გაფორმებული — ოფიციური და დამატებითი.

ოფიციური კონტრაქტით საქართველო ყოველწლიურად გატარებული გაზის 5%-ის დაბალ ფასად შეძენის უფლება აქვს. საუბარია გაზის სამხრეთის დერეფნით განხორციელებულ ტრანზიტზე. ამ კონტრაქტს ვადა 2066 წელს ეწურება.

რაც შეეხება დამატებითი გაზის შეძენის კონტრაქტს, ის 2026 წლამდე იქნება ძალაში. ამ პერიოდამდე საქართველო ყოველწლიურად 500 მლნ მ³ გაზს მიიღებს შეღავათიან ფასად.

„თუ მიმდინარე წელს საქართველომ ჯამში 1,014 მლრდ მ³ გაზი მიიღო, ეს მაჩვენებელი 2022 წელს 1,5 მლრდ მ³-ს მიაღწევს“.

2024-25 წლებში გაზის სამხრეთის დერეფნის გამტარუნარიანობის 30 მლრდ-მდეა დაგეგმილი, რაც ნიშნავს, რომ საქართველო გაცილებით მეტ იაფ გაზს მიიღებს.

2020 წელს საქართველომ 2,6 მლრდ მ³ გაზი მოიხმარა.

მილსადენის საერთო სიგრძე 3500 კმ-ია. გაზის სამხრეთის დერეფნის პროექტის ღირებულება 40 მლრდ დოლარს აღწევს, საიდანაც 9,3 მლრდ ტრანსანატოლიის მილსადენს (TANAP), 6 მლრდ — ტრანსადრიატიკის გაზსადენს (TAP), 23,8 მლრდ „შაჰდენიზის“ საბადოს დამუშავების მეორე ეტაპსა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოებას მოხმარდა.

სანთელი

გივი, თემურ ცაგარელები, არჩილ გოგელია, როლანდ გილიგაშვილი, ზურაბ ცქიტიშვილი, ზურაბ კუპრაშვილი, ვლადიმერ ბენიაშვილი, ჯემალ კალანდაძე, ლევან ჯიბუტი, თემურ ხორხომელიძე, გურამ კოსტავა, დავით სახვაძე, ზაზა მჭედლიძე, გივი ანდრიაძე, ფრიდონ სულაბერიძე, თამაზ კიკალიშვილი, თენგიზ უთმელიძე, თინიკო ყალიჩავა, ნინა ბარნოვა, მარიტა ბოკუჩავა ოჯახებით იუწყებიან, რომ სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა იური ოსიპოვის და

ელენე ოსიპოვა-გუდიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ძმები ვიქტორ, იური ოსიპოვები, ძმისშვილები გურა ჭავჭანიძე, საშა და კოკი ოსიპოვები, რძალი რუსიკო ჭავჭანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ სანკტ-პეტერბურგში გარდაიცვალა

ელენე ოსიპოვა-გუდიაშვილი

სურსათის გაძვირების ახალი ტალღა!

რა მოლოდინი აქვთ ქართველ იმპორტიორებს?!

საერთაშორისო ბაზრებზე საკვები პროდუქტების გაძვირებას პროგნოზირებენ. მსოფლიო ბაზრების ანალიტიკოსების ინფორმაციით, ამის მიზეზი ხორბლის მაღალი ფასია, რაც გავლენას სხვა კატეგორიის საკვებ პროდუქტებზეც მოახდენს, — ამის შესახებ Bloomberg წერს.

კერძოდ, ჩიკაგოს საფონდო ბირჟაზე, 2012 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად, ბუშელი ხორბლის საბაზრო ღირებულებამ 8 დოლარს გადააჭარბა. ექსპერტები ხორბლის ფასის მატებას ამინდის არახელსაყრელ პირობებსა და სასუქის ფასების ზრდას უკავშირებენ.

ჩიკაგოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად ხორბლის მარტის ფიუჩერსის ფასები ბუშელზე 8,08 დოლარამდე გაიზარდა.

გამოცემა Bloomberg აღნიშნავს, რომ ხორბლის ფასი ზედიზედ მეექვსე თვეა იზრდება, ხოლო მხოლოდ ოქტომბერში ის 6,5%-ით გაიზარდა. სააგენტო ასევე მიიჩნევს, რომ ხორბალზე ფასების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა საკვები პროდუქტების ფასების მატებაც მთელ მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე სურსათის ფასების ინდექსი გასული პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა. 2021 წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, 1.2%-ით გაიზარდა და 130 პუნქტს მიაღწია, რაც 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ეს ძირითადად განპირობებულია მცენარეული ზეთების, მარცვლეულის და შაქრის ფასების ზრდით.

ფასების ზრდის მოლოდინი აქვთ ქართველ იმპორტიორებსაც. როგორც დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ივა ჭყონია „კომერსანტთან“ აღნიშნავს, გლობალურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესი გადამდები აღმოჩნდება ადგილობრივი ბაზრისთვისაც, რასაც განაპირობებს როგორც ლარის მაღალი კურსი, ასევე რეგიონში მიმდინარე პროცესებიც, მათ შორის, თურქული ლირის გაუფასურება.

„ფასები მსოფლიოში ყველაფერზე იზრდება. 2 მთავარი ფაქტორი, რაც საქართველოში პროდუქტის ფასზე აისახება, გლობალური ფასი და ლარის კურსია. შესაბამისად, ვიღებთ იმ მოცემულობას, როგორიც დღეს სამომხმარებლო ბაზარზეა. ველოდებით, რომ ფასები მოიმატებს, მაგრამ რა მაჩვენებლით და კონკრეტულად რა პერიოდიდან, ამაზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებთ. ფასები მიბმულია ეროვნული ვალუტის კურსზე. ბოლო 2 წლის განმავლობაში მხოლოდ აღმავალი ტრენდია ფასებში. ჩვენ ვითვალისწინებთ ასევე საწვავის ფასსაც, რაც ასევე მაღალი მაჩვენებლითაა გაძვირებული, ხოლო ლოჯისტიკა პირდაპირ დისტრიბუციაზეა მიბმული. გასათვალისწინებელია რეგიონის ფაქტორიც, თურქული ლირა უფასურდება, ეს ტენდენცია თუ დიდხანს გაგრძელდება და იქ დაიწყება ფასების შემცირების პროცესი, ამას ქართული ბაზარიც იგრძნობს. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა დავიცვათ ეროვნული ვალუტა და ლარიც არ მიყვეს ლირას, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა“, — აცხადებს ივა ჭყონია.

ცნობისთვის, ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის თანახმად, 2021 წლის დასაწყისიდან მკვეთრად გაიზარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსი როგორც განვითარებულ, ასევე მზარდ და განვითარებად ქვეყნებში. ეს ძირითადად განპირობებულია პანდემიის პირობებში მიწოდების მხარეს წარმოქმნილი შეფერხებებით, ასევე, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პროდუქციის ფასების მზარდი დინამიკით.

საქართველოში საკვები პროდუქტების ფასების ინდექსი სექტემბერში 32.8%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ამასთან, ნავთობის ფასი თითქმის გაორმაგებულია!..

მარი ჩიტაია

მუდმივი რეისები — ქუთაისი-მესტია

10 ნოემბრიდან, ყოველ ოთხშაბათს, ქუთაისსა და მესტიას შორის რეგულარული ავიამიმოსვლა განახლდება. რეისები მსუბუქი სამგზავრო საჰაერო ხომალდით დ 410-ით შესრულდება.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ინფორმაციით, მესტიის თამარ მეფის სახელობის ადგილობრივი აეროპორტიდან ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით ოთხშაბათობით მოფრენა

12:00 საათზე განხორციელდება, ხოლო დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან უკან გაფრენა მესტიის მიმართლებით 13:30 საათზე შესრულდება.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის, თამარ არჩუაძის განცხადებით, შესაძლოა მოთხოვნიდან და საჰაერო ხომალდის დატვირთულობიდან გამომდინარე, რეისების რაოდენობა ეტაპობრივად გაიზარდოს.

გია იმნაძე



დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი წარმოუდგენელია თბილისის „დინამოს“ ყოფილი დირექტორის გია იმნაძის გარეშე.

კაცი, რომელიც რკინის ქალამნებს ჩაიცვამდა, ქვას გახეთქავდა და მიზანს მაინც მიაღწევდა — ასეთად ვიცნობდით „მიხაილოვიჩს“, რომელსაც სიკეთის ქმნა ცხოვრებისა და საქმიანობის წესად ჰქონდა გადაქცეული.

ფუნქცია კი, იცოცხლეთ, უმნიშვნელოვანესი ეკისრებოდა — გუნდისა თუ დელეგაციის წევრებისათვის ვიზებისა და ბილეთების საკითხების მოწესრიგება, კლუბის სტუმართა ღირსეულად დაბინავება-გამასპინძლება და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი მსხვილმან-წვრილმანი ნიუანსი.

გაოცებას იწვევდა ის უნარი, რომელიც ჩვენს ძვირფას მეგობარს ადამიანებთან ურთიერთობაში გამოარჩევდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ახლობლები ყველა სფეროში ჰყავდა.

განსაკუთრებული გახლდათ მისი დამოკიდებულება მედიის წარმომადგენელთა მიმართ. კოლეგები დაგვეთანხმებიან, რომ მისი სახით ჩვენს ყოველდღიურობას დინამოელთა სახელოვანი ადმინისტრატორის, ბატონი თენგიზ მაჭავარიანის ღირსეული მემკვიდრე ამშვენებდა.

დასანანია, რომ ამ ჯიგრიან კაცს ასე ნაადრევად — 62 წლის ასაკში ვემშვიდობებით — ათასგვარ პრობლემასთან შეჭიდებული, ვერაგმა კოვიდმა გამოგვაცალა ხელიდან.

ნათელი და სანთელი, ძმაო!

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია,

„გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტული რედაქციის თანამშრომლები

განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე — ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 29 იანვარს გარდაცვლილი მოქალაქე გიული ჩხაიძის (პ/ნ:01017000125) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მდებარე ქალაქი ბათუმი, გორგასალის ქუჩა 104 (ს/კ: 05.23.22.009.01.505); ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №3 (ს/კ: 01.15.05.013.001.01.506); ქ. თბილისი მაჩაბლის ქუჩა №3 სარდაფი (01.15.05.013.001.01.510) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

სიღნაღი ნონკონფორმისტებს უმასპინძლებს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ნონკონფორმისტი მხატვრების გამოფენა „თავისუფლებით შთაგონებული ხელოვნება“ გაიხსნება. მუზეუმში გამოფენის გახსნისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

ნიკო ფიროსმანაშვილის 13 მხატვრული ნაწარმოების გვერდით, ფართო საზოგადოებისათვის პირველად ჯგუფურად იქნება ექსპონირებული 6 ნონკონფორმისტი მხატვრის: ავთო ვარაზის, ოთარ ჩხარტიშვილის, თემო ჯაფარიძის, ამირ კაკაბაძის, ვატია დავითაშვილის, ავთო მესხის 50-ზე მეტი ფერწერული, გრაფიკული, კოლაჟური, ასამბლაჟის და ობიექტის მედიუმში შესრულებული ნამუშევარი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმისა და კერძო კოლექციებიდან.



„სახელოვნებო სფეროში ტერმინის — საბჭოთა ნონკონფორმისტული ხელოვნება დამკვიდრება ამერიკელ ეკონომისტს, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორს, ნორთონ დოჯს მიეწერება. ის ცნობილია როგორც საბჭოთა არაოფიციალური ხელოვნების ერთ-ერთი პირველი კოლექციონერი. ნორთონ დოჯი ყიდულობდა 60-იანელ მხატვართა სურათებს და არალეგალურად გაჰქონდა საბჭოთა კავშირიდან. ფაქტობრივად, მან გააცნო დასავლეთს ე.წ. საბჭოთა ანდერგრაუნდის ხელოვნება, რომლის 20 000-მდე ნიმუშია დაცული მის კოლექციაში. მათ შორისაა ქართველ ნონკონფორმისტ ავტორთა ნამუშევრებიც.

60-70-იან წლებში ნონკონფორმისტული აქტიურობით მხატვრებმა: ავთო ვარაზმა, ოთარ ჩხარტიშვილმა, თემო ჯაფარიძემ, ამირ კაკაბაძემ, ვახტანგ (ვატია) დავითაშვილმა, ავთო მესხმა საფუძველი ჩაუყარეს არაოფიციალურ ხელოვნებას საქართველოში, რაც ნიშნავდა ახალი კულტურის ეპოქის დასაწყისს. ვიზიტორებს გამოფენის ხილვის შესაძლებლობა 2022 წლის 5 მაისამდე ექნებათ“.

განახლებული გალერეა ფიროსმანისა და ფარჯიანის სტუმრობს

განახლებული ეროვნული გალერეა გაიხსნა. ერთ საგამოფენო სივრცეში ორი დიდი მხატვრის, ნიკო ფიროსმანაშვილისა და ირაკლი ფარჯიანის შემოქმედებებია გამოფენილი.

გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნული გალერეის ფონდებსა და კერძო კოლექციებში დაცული ირაკლი ფარჯიანის 80 ნამუშევარი: ფერწერა, გრაფიკა, ილუსტრაცია. მათი ნაწილი კი (30 ნამუშევარი) პირველადაა ექსპონირებული. გამოიცემა გამოფენის თანმხლები კატალოგიც

ირაკლი ფარჯიანი მე-20 საუკუნის ქართული ხელოვნების ერთ-ერთი მასშტაბური ფიგურაა, 1980-იანი წლებიდან პოსტსაბჭოთა ქართული მხატვრობის ლიდერია, რომელმაც განსაზღვრა თაობის პოზიცია, სტილი და მიმართულება. ირაკლი ფარჯიანის შემოქმედება 17 წელს მოიცავს. იგი 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართულ ხელოვნებაში ირაკლი ფარჯიანს უკავშირდება რელიგიური მხატვრობის გაწყვეტილი ტრადიციის რეაბილიტაცია. 80-იანი წლების ქართულ მხატვრობაში მან თანამედროვე ხელოვნების ნაკადი, აბსტრაქციისა და ფორმის მოდიფიკაციის საკუთარი სქემა შემოიტანა. ირაკლი ფარჯიანი უნიკალური მხატვარი იყო, რომელმაც შეძლო ქართულ ხელოვნებაში ტრადიციული და თანამედროვე კულტურული სისტემების გაერთიანება. ირაკლი ფარჯიანი ნიკო ფიროსმანის პრემიის ლაურეატია.

სახალხო არტისტებს, მხატვრებს და სპორტსმენებს სტიპენდია ეზრდებათ

საქართველოს მთავრობის ახალი დადგენილებით, სახალხო არტისტებს, მხატვრებსა და ოლიმპიადების პრიზიორ სპორტსმენებს ყოველთვიურ სტიპენდიებს უზრდის.

საქართველოს მთავრობამ 2011 წელს მიიღო დადგენილება, რომელიც სახალხო არტისტებისთვის, მხატვრებისთვის და ოლიმპიელი სპორტსმენებისთვის ყოველთვიურ სტიპენდიებს განსაზღვრავდა. **2 ნოემბერს მიღებული დადგენილების თანახმად, სახალხო არტისტებს, სახალხო მხატვრებსა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებს ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარით ეზრდებათ და 600 ლარი იქნება. გარდა ამისა, სახალხო არტისტებს ან სახალხო მხატვრებს, რომელთაც იმავდროულად მინიჭებული აქვთ შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება, ორივე წოდებისთვის ყოველთვიური 600 ლარია სტიპენდია დაენიშნებათ. რაც ასევე 200 ლარით გაზრდილია.**

დადგენილების ცვლილებებით დადგინდა ყოველთვიური ახალი სტიპენდიები ოლიმპიელებისთვისა და საჭადრაკო პრიზიორებისთვის. **ოლიმპიური და პარალიმპიური თამაშებისა და საჭადრაკო ოლიმპიადების პრიზიორები მიიღებენ: ვერცხლის მედლის შემთხვევაში 800 ლარს, ხოლო ბრინჯაოს მედლის შემთხვევაში 500 ლარს.**

ამასთან, საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული, რომელიც იმავდროულად არის ოლიმპიადის პრიზიორი ყოველთვიური სტიპენდიის სახით მიიღებს 2000 ლარს. საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი, რომელიც იმავდროულად არის საჭადრაკო ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი კი, ყოველთვიურად 800-ლარიან სტიპენდიას მიიღებს.

შესაბამისი სახსრები უნდა გამოიყოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წლიური ბიუჯეტიდან.

ცნობილი მუსიკალური სასწავლებელი ქართველებს ელის

ახალგაზრდა მუსიკოსები შემოქმედებით შესაძლებლობას უცხოეთის სასწავლებელში აიმაღლებენ. კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ბელგიაში, ქალაქ ვატერლოოში, დედოფალ ელისაბედის სახელობის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლის აღმასრულებელ პრეზიდენტს ბერნარდ დე ლონუას შეხვდა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე მომავალი წლიდან ქართველი წარჩინებული მუსიკოსების გაცვლით პროგრამაში ინტეგრირების თაობაზე იმსჯელეს.

„დედოფალ ელისაბედის სახელობის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი ცნობილია იმით, რომ ნიჭიერ, წარმატებულ მუსიკოსებს ზრდის. ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსებს უნიკალური საშუალება მიეცემათ, აიმაღლონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობები ამ აღნიშნულ სასწავლებელში“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბუკერის პრემია - სამხრეთაფრიკელ მწერალს

3 ნოემბერს, ლონდონში გამართულ დაჯილდოებაზე, ბუკერის 2021 წლის ლიტერატურული პრემია სამხრეთ აფრიკელ მწერალს, დეიმონ გალგუტს გადაეცა რომანისთვის The Promise (დაპირება).



რომანში მოთხრობილია თეთრკანიან ფერმერის ოჯახსა და მათ შავკანიან მოახლეს შორის ურთიერთობებზე, აპარტეიდის დროს და შემდგომ პერიოდში. ოჯახმა დიდი ხნის წინ მოახლეს დაპირება მისცა, რომ აჩუქებდა იმ სახლს, სადაც ის ცხოვრობდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ დაპირების შესრულება შემდეგი თაობებისთვისაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა. მწერალი და დრამატურგი დეიმონ გალგუტი, რომელიც ერთ კვირაში 58 წლის გახდება, ბუკერის პრემიის „მოკლე სიაში“ (shortlist) მესამედ მოხვდა. პირველად ეს იყო 2003 წელს და შემდეგ 2010-ში. ბუკერის პრემიის ლაურეატის პრესტიჟული ტიტულის გარდა, გალგუტი 50 ათას ფუნტს მიიღებს, რაც დაახლოებით 68 ათასი დოლარია.

ბუკერის პრემია ინგლისურენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა. პრემიის მინიჭება შემდეგი სქემით ხდება, აგვისტოში ჟიური აქვეყნებს ე.წ. ლონგლისტს (გრძელი სია), რომელშიც 25-მდე კანდიდატია შესული, ხოლო სექტემბერში ამ სიიდან ექვსი მონაწილე პრემიის „შორტლისტში“ (მოკლე სია) შედის.

ბუკერის პრემიის გამარჯვებული ცხადდება ოქტომბერში ან ნოემბერში სპეციალურ ცერემონიაზე.

ბუკერის პრემიის ოთხი მფლობელი - უილიამ გოლდინგი, ნადინ გორდიმერი, ვიდიადჰარ ნაიპოლი და ჯონ მაქსველ კუტზეე — შემდგომში გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. 1999 წელს ჯონ მ. კუტზეე პირველი მწერალი გახდა, რომელმაც ბუკერის პრემია ორჯერ მოიპოვა. ორ წელიწადში ეს მიღწევა გაიმეორა ავსტრალიელმა მწერალმა პიტერ კერიმ.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 8 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1576; ევრო - 3.6597;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3016;
100 რუბლი - 4.3905; თურქული ლირა - 0.3265;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8595;
1000 სომხური დრამი - 6.6267.

ამინდი 5 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+15
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+24
მთიანი რაიონები -	ღამე	+5,	დღე	+21
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge